

## **განსჯადობა**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2021, №10

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)**

2021, №10

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)**

2021, №10

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)**

2021, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
გარიგა გაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასა-  
მართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## სარიგებელი

### 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის დარიცხული დავალიანების შესახებ დავის განსჯადობა .....	5
სადოქტორო პროგრამის კონკურსთან დაკავშირებით დავის განსჯადობა .....	10
ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების მართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა .....	16

### 2. სამოქალაქო განსჯადობა

ავტომანქანის საჯარომ სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურების შესახებ დავის განსჯადობა .....	24;33
პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში ქონების შეტანის მართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა .....	42
სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა .....	52
შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა ....	61
ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა ....	68

### 3. ტერიტორიული განსჯადობა

განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილს მიხედვით ....	74
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით .....	80
განსჯადობა უძრავი ნივთისა და საჯარო რეესტრის ტერიტორიული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით .....	86
განსჯადობა მოპასუხის – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით .....	95; 99; 109; 137
განსჯადობა მოპასუხის – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით და განსჯადობის სპეციალური წესი .....	103
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით .....	118
განსჯადობა ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით .....	124; 145
შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე განსჯადობა .....	132

4. განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
შესახებ საქმეებზე  
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის  
ადგილის მიხედვით ..... 150; 156
5. საქმის განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის  
კლასიკური დავის არარსებობის გამო  
სარჩელის უკან დაბრუნება  
ორივე მოდავე სასამართლოების  
დასაბუთებული შეხედულების არარსებობის გამო  
საქმის უკან დაბრუნება ..... 161; 168
6. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის  
წარმოების განახლების განსჯადობა ..... 176; 180

## 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონების არამართლზომიერი სარგებლობისთვის  
დარიცხული დავალიანების შესახებ დავის  
განსჯადობა

### განრიცხვა საქართველოს სახელით

№ბს-223(გ-20)

23 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელის განსჯადობის თაობაზე ახალციხის რაიონულ სასამართლოში წარმოშობილი დავა.

#### აღნერილობითი ნაწილი:

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სარჩელით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „...ს“ მიმართ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამერარმეო საქმიანობისათვის არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების დაკისრებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვის მოთხოვნით. მოსარჩელემ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი და 49<sup>ე</sup> მუხლი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესები. სარჩელი წარდგენილ იქნა როგორც ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით განსახილველი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე განსჯადობით გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენ-

ტოსა და შპს „...ს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის განჩინებით სსიპ სახელმიწფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩევლი შპს „...ს“ მიმართ დატოვებულ იქნა განუხილველად იმ საფუძვლით, რომ სარჩელი განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სახელმიწფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმიწფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის განჩინება და საქმე მოსამზადებელი ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეზე მიღებული, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 თებერვლის განჩინებით კი განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეცა საკასაციო სასამართლოს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 და მე-16 მუხლებზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლზე, „სახელმიწფო ქონების შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup> მუხლზე და აღნიშნა, რომ დავის საგანი ეხება სახელმიწფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არაპირთლზომიერი სარგებლობისთვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებას, რაც ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს არა კერძო-სამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული, საჯარო კანონმდებლობიდან და მისი განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გა-

ეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განხილვას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსჯადობა განსაზღვრავს სასამართლოთა შორის საქმების განაწილების წესს, ანუ ადგენს, სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმე კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვეტოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს ქვემდებარე სამოქალაქო დავების კატეგორიებს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე ადმინისტრაციული დავების კატეგორიათა ჩამონათვალია მოცემული. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარებს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სადაცო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „„ქეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. თუმცა ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაშიც, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს არა მხოლოდ სადაცო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადაცო სამართალურთიერთობის ბუნებაც წარმოადგენს. კერძოდ, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან. ამრიგად, თუკი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო და ამავდროულად ურთიერთობა საჯარო-სა-

მართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, საქმე ადმინისტრაციული სამართლადნარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლო, მოცემული დავის სამართლებრივი ბუნების შეფასებისას, მიუთითებს, რომ სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონიდან. დასახელებული კანონის 26-ე მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის ნერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური, საბაზრო ლირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის. ამავე კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების წინაპირობები: სადაც სამართლურთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო; დავის საგანი ეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებას, დავალიანების დარიცხვა კი ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამრიგად, სადაც სამართალურთიერთობის ბეჭედის განვითარების სასიათო და მისი სუბიექტური შემადგენლობა ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას.

რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას, აღნიშნული გამომდინარეობს პირველი სასარჩელო მოთხოვნიდან და უკავშირდება მის გადაწყვეტას. ამდენად, პროცესის ეკონომიურობის, დავის სრულყოფილად განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპებიდან გამომდინარე, ორივე სასარჩელო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს ერთად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი შპს „...ს“ მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებისა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხვის თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველად;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სადოკტორო პროგრამის კონკურსთან დაკავშირებით დაცის განსჯადობა

განჩინება  
საქართველოს სახელით

№ბს-936(გ-20)

13 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩიძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე, განიხილა ვ. ო-ას სარჩელის განსჯადობის  
თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის წარმოშობილი დავა.

## აღნერილობითი ნაწილი:

ვ. ო-ამ 2020 წლის 10 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილი-  
სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგი-  
ას, მოპასუხის – სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ  
და მოითხოვა ამავე უნივერსიტეტის ...ის სადოქტორო პროგრამის  
საპელაციო კომისიის 2020 წლის 3 სექტემბერს გამოქვეყნებული  
გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელის კვლე-  
ვითი განაცხადი შეფასდა 2,8 ქულით; ვ. ო-ამ, ასევე, მოითხოვა  
მოპასუხისთვის ახალი გადაწყვეტილების მიღების დავალება, რომ-  
ლითაც ძალაში დარჩება მოსარჩელის პირვანდელი შეფასება და  
მიეცემა კონკურსის შემდეგი ეტაპის (ზეპირი პრეზენტაცია) გავ-  
ლის შესაძლებლობა.

სარჩელის თანახმად, 2020 წლის 13 აგვისტოს ვ. ო-ა დარეგის-  
ტრირდა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ...ის სადოქტო-  
რო პროგრამაზე მისალებ კანდიდატთა კონკურსზე. მოსარჩელის  
კვლევითი განაცხადი შეფასდა 3 ქულით (მაქსიმალური ქულა – 5  
ქულა). მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ქულა საკმარისი იყო  
შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად, საკონკურსო პოზიციის გაუმ-  
ჯობესების მიზნით, მოსარჩელემ მიღებული შეფასება სააპელა-  
ციო კომისიაში გაასაჩინორა. სააპელაციო კომისიამ კი ვ. ო-ას მიანი-  
ჭა 2,8 ქულა, რამაც მისი სადოქტორო პროგრამის კონკურსიდან

გამოთიშვა განაპირობა. მოსარჩელე სწორედ აღნიშნულ შეფასებას ხდის სადაცოდ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2020 წლის 11 სექტემბრის განჩინებით სარჩელი განსჯადობის წესით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სარჩელი შეეხება სისი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ...ის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის გამართულ კონკურსში მიღებულ შეფასებას, სადაცო საკითხს კი აწესრიგებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 5 ნოემბრის №105 სხდომის ოქმით დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო სამართლებრივი ურთიერთობა არ მიეკუთვნება საჯარო-სამართლებრივს, ვინაიდან იგი არ არის მოწესრიგებული ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ვ. ო-ას სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო კანონმდებლობის ნორმებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის არსის, ურთიერთობის მახასიათებლის, არსებული ნორმატიული მოწესრიგებისა და საკანონმდებლო რეგულაციის („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების) მიზნის გათვალისწინებით, სადაცო ურთიერთობა განეკუთვნება საჯარო და არა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად, მიიჩნევს, რომ ვ. ო-ას სარჩელი განხილულ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე,

რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სა-სამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვი-ტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახ-მად კი, თუ პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავ-ნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოე-ბისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს გან-საზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, გან-სჯადი სასამართლო უნდა დადგინდეს განსჯადობის მომწესრიგე-ბელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, კერძოდ, საქარ-თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლში ჩამოთ-ვლილია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველი საქმეები, ხოლო ადმინისტრაციული საპრო-ცესო კანონმდებლობით განსახილველი დავების ჩამონათვალს შე-იცავს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი. ამასთანავე, საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-ცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში დაზუსტებულია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გა-ნიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინის-ტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, საკა-საციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსჯადი სასამართლოს დად-გენა უნდა მოხდეს დავის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მხარეთა ზუსტ განსაზღვრას, სასარჩელო მოთხოვნათა დე-ტალურ შესხავლასა და გამოსაყენებელი კანონმდებლობის შეფა-სებას მოითხოვს. ამასთან, მართალია, ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავებში ერთ-ერთ მხარედ აუცილებლად მონაწილე-ობს ადმინისტრაციული ორგანო, მაგრამ „განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადაც სა-მართალურთიერთობის ბუნებას და არა მის მონაწილეებს. ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით საერ-თო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წე-სით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლო-ბიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშ-ბილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2 მუხლი კიდევ უფრო აკონკრე-ტებს ადმინისტრაციული დავის საგანს (ტაქსაცია). აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარ-მოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა და-ვის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობი-

დან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული (ენუმერაცია). კანონმდებლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ასახავს განსჯადობის გარეგანი ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადვილს კანონმდებლობაში: იმ შემთხვევაში, თუ სამართალურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერძო-სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კატეგორიისაა, უკეთუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინება საქმეზე №ბას-844-828(გ-12)).

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ...ის სადოქტორო პროგრამის კონკურსის ფარგლებში მოსარჩელის შეფასების კანონიერებას, კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 13 აგვისტოს დარეგისტრირდა დასახელებულ სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ კანდიდატთა კონკურსზე. მისი კვლევითი განაცხადი, მაქსიმალური – 5 ქულიდან, შეფასდა 3 ქულით. მიღებული ქულა ვ. ო-ამ უნივერსიტეტის საპელაციო კომისიაში გაასაჩივრა, კომისიამ კი მას 2,8 ქულა მიანიჭა. მოსარჩელე სწორედ ქულის შემცირებას არ ეთანხმება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, უდავოა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოპასუხედ დასახელებული სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ ორგანოს ნარმოადგენს.

რაც შეეხება დავის გადაწყვეტისთვის გამოსაყენებელ კანონმდებლობას, საკასაციო პალატა მიუთითებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვე-

პუნქტის შესაბამისად, დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური; „ტ1“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. იმავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ7“ ქვეპუნქტის თანახმად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესსა და პირობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს. ამასთან, იმავე კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დოქტორანტურაში მიღების წესები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დასახელებულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისა და სწავლების ძირითადი მიმართულებები/პრინციპები სწორედ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით არის განსაზღვრული. მართალია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავისი დებულებით დეტალურად ანესრიგებს საკითხს, თუმცა მან სწორედ დასახელებული კანონის მოთხოვნები უნდა გაითვალისწინოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით. წესდების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში კი მითითებულია, რომ უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებსა და ამ წესდებას. წესდება, სხვა საკითხებთან ერთად, ანესრიგებს აკადემიური საბჭოს წევრების არჩევისა და საბჭოს უფლებამოსილების საკითხებსაც. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 დეკემბრის №14 სხდომის ოქმით კი დამტკიცებულია უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს საქმიანობისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესს, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების კრიტერიუმებს, დოქტორანტურაში მიღების წესს, დოქტორანტურის აკადემიურ შინაარსს და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ძირითად მოვალეობებს, დოქტორანტურის მიზნებს, სადისერტაციო ნაშრომის და სადოქტორო პორტფოლიოს დაცვის წესს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სადაც საკითხი მოსარჩელის შეფასების – დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასასვლელი ქულის განსაზღვრის კანონიერებას შეეხება, იგი შეიცავს საჯარო-სამართლებრივ ბუნებას და სასარჩელო მოთხოვნათა გადაწყვეტისას სასამართლო სწორედ ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტებით უნდა იხელმძღვანელოს, რომლებიც აღმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას განეკუთვნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ ვ. ო-ას სარჩელი, მოპასუხის – სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ო-ას სარჩელი, მოპასუხის – სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრეჩული  
უფლება-მოვალეობების შესრულების  
მართლზომიერების თაობაზე დავის გაცემადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-371(გ-21)

2 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს „...ის“ სარჩელთან დაკავშირებით ნარმობობილი დავა განსჯადობის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

**აღნერილობითი ნაწილი:**

2021 წლის 24 მარტს სს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის სს „...ის“ ტერიტორიაზე ...ის ქუჩის მხრიდან შესასვლელი ლიანდაგის დემონტირებული მონაკვეთის აღდგენის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელე აღნიშხავს, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №1-ში ს/კ ... აღრიცხული უძრავი ნივთი წარმოადგენს სს „...ის“ საკუთრებას. ობიექტის ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ლიანდაგი, რომელიც მოსარჩელის ძირითად საშუალებათა ღირებულების შეფასების აქტში მოხსენებულია როგორც ...ი და მისი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღია 1946 წლის 01 ივნისი, ხოლო მისი საწყისი საბალანსო ღირებულება – 114 750 ლარი. მოსარჩელის განმარტებით, 2020 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურიდან მიიღეს წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო ინფორმაცია ლიანდაგის მესა-

კუთრის შესახებ, რათა მოეხდინათ ლიანდაგის დემონტაჟი. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო არ ითხოვდა მესაკუთრის თანხმობას ან რაიმე სახის მოლაპარაკების წარმოებას ასი ათასობით ლირებულების ლიანდაგის დემონტაჟზე. ამასთან, წერილის თანახმად, ლიანდაგი იყო უმოქმედო, რაც მოსარჩელის მითითებით, არ შეესაბამება სიმართლეს. სს „...ი“ აღნიშნავს, რომ 2020 წლის 28 დეკემბერის წერილით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს ეცნობა, რომ რკინიგზის ლიანდაგი ირიცხებოდა სს „...ის“ ბალანსზე და ემსახურებოდა ...ის ტერიტორიაზე მოქმედ ათობით ფირმას, რომელთა ფუნქციონირება დამოკიდებული იყო პროდუქციის შემოტანაზე და ...ი მათთვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ამასთან, რკინიგზის ლიანდაგის სიგრძე შეადგენდა 700 მეტრს და კერძო ფირმებთან იჯარის ხელშეკრულებების გაფორმებისას ყოველთვის შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული ინფორმაციის უგულებელყოფით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა მაინც მოახდინა ...ის ქუჩის მხრიდან შემოსავლელი ლიანდაგის დემონტაჟი მესაკუთრის თანხმობის გარეშე. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხემ უხეშად დაარღვია მისი საკუთრების უფლება და მიაყენა მატერიალური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2021 წლის 29 მარტის განჩინებით სს „...ის“ სარჩელი განსახილველად გადაევზავნა განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე და აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალ-წარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოხესრიგებული (ენუმერაცია). კანონმდებლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადაც სამართალურთიერთობა რეგუ-მდებლობაში: იმ შემთხვევაში, თუ სამართალურთიერთობა

ლირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერძო-სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კატეგორიისაა, თუ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. კოლეგიის მითიერებით, განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობიდან გამომდინარე დავა და მის შესრულებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი ქმედება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 5 აპრილის განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველი სარჩელის მოთხოვნის და დავის საგნის არსიდან გამომდინარე, საქმის გადაწყვეტის მიზნით, სასამართლომ უნდა შეაფასოს მოპასუხის ქმედების კანონიერების საკითხი, რაც შეუძლებელია განხილულ იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე. კოლეგიის მითითებით, მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიმართ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხე, როგორც საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელია ადგილობრივი მართველობის ორგანო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მოსარჩელის მოთხოვნა – ქმედების განხორციელების, მოსარჩელის კუთვნილი ლიანდაგის აღდგენის დავალდებულება თავისი შინაარსით წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით (რესტიტუციის მოთხოვნა). კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 208-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ დავის საგნის გათვალისწინებით, საქმე უნდა განიხილოს ადმინისტრაციული საქმეების გამხილველმა სასამართლომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს მოუწევს შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, ასევე შეაფასოს საჯარო და კერძო

ინტერესების ურთიერთგანასწორების საკითხი და ა.შ. ამგვარი შეფასებები კი ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველმა სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს იმ საპროცესო წესების ფარგლებში, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის არის დამახასიათებელი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობს შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება საგნობრივი განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით, საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებ-

თან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არა-რად ალიარება, უფლების ან სამართალურთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლნარმობების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მითხოვნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურისათვის სს „...ის“ ტერიტორიაზე ...ის ქუჩის მხრიდან შესასვლელი ლიანდაგის დემონტირებული მონაკვეთის აღდგენის დავალება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავებას და მათი განხორციელების უზრუნველყოფას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას. ამდენად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოპასუხე არის ადმინისტრაციული ორგანო და სასარჩელო მოთხოვნა მიმართუ-

ლია ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუმცა დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ იძლევა დავის ავტომატურად ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევის შესაძლებლობას, არამედ კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალუროთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

განსახილველ შემთხვევაში, სს „...ის“ სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, მოსარჩელის თანხმობის გარეშე მოახდინა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, ...ის ქ. №1-ის მიმდებარედ განლაგებული რეინიგზის ლიანდაგის დემონტაჟი. ამდენად, მოსარჩელე ითხოვს, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – ტერიტორიაზე დემონტირებული ლიანდაგების კვლავ განთავსება. თავისმხრივ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის გაგზავნილი ზერილით ირკვევა, რომ თ. ...ის ქუჩაზე გამავალი ლიანდაგი ხელს უშლიდა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას და ქმნიდა საცობს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ განსჯადობის თაობაზე დავის გადაწყვეტა საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკვე განხორციელებული მოქმედების – ლიანდაგების დემონტაჟის და სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მომავალში განსახორციელებელი მოქმედების – დემონტირებული ლიანდაგის აღდგენის სამართლებრივი ბუნების გარკვევას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი ღონისძიების საჯაროსა-მართლებრივად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით იქნება მმართველობითი ხასიათის ღონისძიება ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ძირითადი, უშუალო მიზნების, ფუნქციებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს. საქართველოს ორგანული კანონის „ად-

გილობრივი თვითმმართველობის კოდექსის „50-ე მუხლის თანახმად, მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. მერიის სტრუქტურული ერთეული შესაბამისი დეპულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის დავალებების შესრულებას. ამავე კანონის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები) არის თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის აღმასრულებელ-განმეორებელ საქმიანობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-15 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დეპულების“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამათა შემუშავებას და მათი განხორციელების უზრუნველყოფას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებას. ამავე დეპულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია თბილისის საქალაქო მეურნეობის რეაბილიტაცია და განვითარება და ადგილობრივ საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზება. საქმიანობის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურის ფუნქციებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება შენობა-ნაგებობების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ხიდების, გზაგამტარების, გვირაბების, მინისქვეშა გადასასვლელების, სანიაღვრე ქსელების, კოლექტორების, საყრდენი კედლების, მდინარეთა ჯებირების და სხვა პირების მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, თბილისის ავარიული შენობა-ნაგებობების მონიტორინგი, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გამაგრებითი სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა, თბილისის გარე განათების და მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სხვა. ამდენად, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და გზის საფარის მოწესრიგება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი მიზნების ფარგლებში განსახორციელებელი ერთ-ერთ ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების

მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. ამავე კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული ქონებაა. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ სადაც ღიანდაგების დემონტაჟი განხორციელდა მისი მმართველობითი საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, გზის კონკრეტულ მონაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებელი მოძრაობა და საცობის წარმოქმნისაგან თავის არიდება მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიზნებს, რომ მოპასუხის სადაც მოქმედების/შესასრულებელი მოქმედების შეფასებისას, უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის დებულებით“) მისთვის დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულების მართლზომიერება, რაც თავის მხრივ გამორიცხავს დავის სამოქალაქო წესით განხილვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიზნებს, რომ სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 26-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაევზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### ავტომანქანის საჯარიშო საღმოზე დგომის ღირებულების ანაზღაურების შესახებ დავის განსჯადობა

#### განჩინება საქართველოს სახელი

№ბს-1029(გ-19)

28 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობით: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადო-  
ბის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-  
ულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის  
წარმოშობილი დავა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ 2019  
წლის 15 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე გ. ბ-ის მი-  
მართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ  
დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშო-  
ბილი საფასურის სრულად ანაზღაურების დავალება 3492 ლარის  
ოდენობით. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“ სარგებ-  
ლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის  
ხელშეწლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპე-  
ციალური სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საც-  
დელი მეურეობა.) ავტომანქანის (სახ. ნომრით: ...) საკუთარი ხარ-  
ჯებით დაუყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს  
ევაკუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცი-

ასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე. 2016 წლის 13 სექტემბერს გ. ბ-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-7-0 და 123-1-0 მუხლების შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების საფასური 3 492 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სავარაო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალურ სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს მესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზღუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, რომელ სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სკი 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განეული ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2019 წლის 19 მარტის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის თანხის დაკის-რება მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დე-კემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ და არა კერ-ძოსამართლებრივი ხელშეკრულების დებულებების საფუძველზე. კერძოდ, გ. ბ-ის კუთვნილი ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გან-თავსების საფუძველს წარმოადგენდა არა მხარეთა ნების ავტო-ნომის პირობებში დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრუ-ლება, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ-სით დადგენილი, სანქცირების ფორმატში განხორციელებული მოქ-მედებები. ამგვარად, საჯარიმო სადგომზე ავტომანქანის გადაყ-ვანა, როგორც საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმა და ასე-ვე, მოთხოვნილი ლირებულების მოცულობა ცალსახად საჯაროსა-მართლებრივი მიზნებით იყო განპირობებული.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამი-ნისტროს სსიპ 112-ის სარჩელის შეფასება ექვემდებარება ადმი-ნისტრაციულ სამართალნარმობებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 28 ივნისის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარ-ჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადა-საცვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მინიჭებულოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღ-ნიშნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად და-ცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენს ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსარ-ჩელის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევი შე-დევია. სასამართლო ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარ-გლებში შესაფასებელია არა ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ, სახელშეკრულებო ურთიერთო-ბიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასური. აღ-ნიშნულზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დე-კემბერის №489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურიც, რომლის 3<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაან-გარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხი-ლული ადმინისტრაციული სამართალნარმობების წესით.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინების შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადავო სამართალურთიერთობის ერთეულ მხარედ გამოდის სსიპ „112“, ხოლო დავის საგანი არის სსიპ „112-სათვის“ სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა და აღნიშნული ავტოსადგომით სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფო ებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი და ერთადერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთოერთობაშიც.

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადო-

ბას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს სადაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს და ხელმეკრულების მიზანს, რომელიც მისი შინაარსიდან დგინდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობაში ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთო-ერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა და მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის 1489 დადგენილებით მოწესრიგება, თავისთავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულსამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმაზე დაფუძნება არ ადასტურებს სადაც სამართალურთო-ბის სამოქალაქოსამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება წარმოშობა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტურიბრივი მფლობელობის ხელშეწლის აღკვეთის მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება. კერძოდ, სსიპ „112“, სასარჩელი მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2016 წლის 13 სექტემბერს გ. ბ-ს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-7-0 და 123-1-0 მუხლების შესაბამისდ, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთ-

ხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით გადაადგილების საფასურსა (42 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (3420 ლ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მთითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების 2.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამდენად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ „112-ის“ კუთვნილ სპეციალურ დაცულ სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ დასრულებულია სამართალდარღვევაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, შესაბამისად, საჭიროების გასვლის გამო დასრულებულია ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სასარჩელო მოხოვენები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში აღარ მონაწილეობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ასევე დავის საგანს არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები, გამოირიცხება საჯარო ელემენტის არსებობა და დავის ადმინისტრაციული ნესით განხილვის შესაძლებლობა. სადაც ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ღირებულების ანაზ-

ღაურებას და მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ღირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ხოლო სამართალდარღვევაზე რეაგირების დასრულების შემდეგ, სსიპ „112-ისა“ და დამრღვევი მძღოლის ურთიერთობის ბუნება კერძოსამართლებრივა, ვინაიდან სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების უნებართვოდ, სადგომზე დატოვებით და ავტომობილის მფლობელის აღნიშნულ ქმედებაზე სსიპ „112-ის“ უმოქმედობით მხარეთა შორის დაიდო სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება. საკითხის არსებითად განმხილველმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით უნდა გადაწყვიტოს დავა და განახორციელოს სახელშეკრულების ურთიერთობის შეფასება.

საკავაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, აღნიშნული ვალდებულების შინაარსის შეფასება სწორედ სამოქალაქო სამართალნარმობის წესით უნდა განხორციელდეს, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა, მას შემდეგ, რაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილების განხორციელების განხორციელება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართლწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა და უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის დავალება კერძოსამართლებრივი ხასიათისა და არ არსებობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა (იხ. სუსგ 16.05.2019 წ. საქმე №ბს-431(გ-19 განჩინება).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მოსარჩელე სსიპ „112“, არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვით ხელშეკრულება მხარეთა შორის „საჯარიმ“ სადგომზე ავტომანქანის საჭიროების გასვლის მიუხედავად, მისი იქ დატოვებითა და სსიპ „112-ის“ მიერ სატრანსპორტო საშუალების მის სადგომზე დატოვებაზე კონკლუდენტურად, დუმილით დათანხმების საფუძველზე დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების გალდებულებას სსიპ „112-ის“ მხრიდან. სამართალდარღვევაზე რეაგირების გამო ავტომანქანის საჯარიმი სადგომზე გადაყვანა, რის გამოც მხარეთა შორის მათი კონკლუდენტური მოქმედებით წარმოიშვა სადაც სამართალურთიერთობა, თავისთავად არ წარმოადგენს აღნიშნული დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სამართალდარღვევაზე რეაგირების დროს განხორციელებული ქმედებები, არამედ მხარეთა შორის სამართალდარღვევის ამონტურვის შემდგომ დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება და მის მფლობელობაში არსებული ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრუ-

ლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალზარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლონარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე გ. ბ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულების ანაზღაურების შესახებ დაცვის განსპეციალისა

## განრიცხვა საქართველოს სახელით

№ბს-1131(გ-19)

28 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს სსიპ „112-ის“ სასარჩელო განცხადების განსჯადო-  
ბის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-  
ულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის  
წარმოშობილი დავა.

### აღნიშვნის ნაწილი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-მა“ 2018  
წლის 7 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე დ. მ-ის მიმართ  
და მოითხოვა მოპასუხისათვის ავტომანქანის სპეციალურ დაცულ  
სადგომზე გადაყყანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი სა-  
ფასურის სრულად ანაზღაურების დავალება სარჩელის შეტანის  
დღისთვის დარიცხული თანხის ოდენობით, რაც შეადგენს 3840  
ლარს. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა სსიპ „112-ის“ სარგებლობაში  
არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშ-  
ლის აღვეთის მიზნით მოპასუხისათვის სსიპ „112-ის“ სპეციალუ-  
რი სადგომიდან (მის.: ქ. თბილისი, დილმის სასწავლო საცდელი მე-  
ურნეობა) ავტომანქანის (სახ. ნომრით: ...) საკუთარი ხარჯებით და-  
უყოვნებლივ გაყვანის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის მაისიდან ახორციელებს  
ეგაუატორით მომსახურების სერვისს, რომლის ფარგლებშიც სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიცი-  
ასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, უზრუნველყოფს

კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანას და მათ შენახვას სპეციალურ სადგომზე. 2015 წლის 11 ნოემბერს დ. მ-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება. სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც განთავსებულია დღემდე. სარჩელის შეტანის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო საშუალებას სსიპ „112-ის“ მიმართ ერიცხება მომსახურების საფასური 3840 ლარი, რომელიც გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხის სატრანსპორტო საშუალების მიმართ დასრულებულია ყველა საჭირო პროცედურა, რის გამოც არ არსებობს მისი სპეციალურ სადგომზე დატოვების საჭიროება. ამასთანავე, სპეციალური სადგომის ტერიტორია სსიპ „112-ს“ კანონიერ სარგებლობაში გადაცემული აქვს შესაკუთრე სახელმწიფოსაგან კონკრეტული მიზნით. საჭიროების გასვლის შემდეგ ავტომანქანის სადგომზე დგომა უარყოფითად აისახება სსიპ „112-ის“ სერვისზე, რადგან იზლუდება სადგომის ფაქტობრივი გამოყენების რესურსი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშემდინარეობის აღკვეთა. რაც შეეხება ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე მუხლების მიხედვით ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებიდან, დელიქტიდან ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან, განსახილველ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება კანონისმიერია და წარმოიშვობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნიდან, რომელიც განეული ხარჯის ანაზღაურებას დამრღვევს აკისრებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან 2015 წლის 11 ნოემბერს დ. მ-ისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დროებით ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე გადაყყანა განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის 118 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით, ხოლო ავტომობილის სსიპ – „112-ის“ ევაკუატორით ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე დგომისათვის შესაბამისი საფასურის გაანგარიშება მოხდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის განაკვეთების შესაბამისად და საჯარიმო სადგომზე განთავსებული ავტომობილის გაყვანას ესაჭიროება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური უწყების წებართვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112-ის“ მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანი გამომდინარებს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და არა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულსამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღძრული დავა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და შესაბამისად, მის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 სექტემბრის განჩინებით სსიპ „112-ის“ სარჩელი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განსახილველი საქმის ძირითადი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნების დადგენა და აღნიშნა, რომ სასამართლო მოთხოვნა სსიპ „112-ის“ სპეციალურად დაცულ სადგომზე გადაყვანისა და შენახვის შედეგად წარმოშობილი მომსახურების საფასურის დაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენს ძირითადი მოთხოვნისაგან დამოუკიდებელ საგანს, არამედ მოსამართლის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის თანმდევი შედეგია. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია არა ავტომანქანის საჯარიშო სადგომზე გადაყვანის კანონიერება, არამედ, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების საფასური. აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბერის 1489 დადგენილების მე-4 მუხლის სათაურიც, რომლის 3<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრულია მოთხოვნილი საფასურის ოდენობაც. ამდენად, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესი განსაზღვრულია ნორმატიული აქტით, მოცემულ დავას არ სძენს ადმინისტრაციულ ხასიათს და ვერ იქნება განხილული ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დაგაში სადავო სამართალურთიერთობის ერთერთ მხარედ გამოდის სსიპ „112“, ხოლო დავის საგანი არის სსიპ „112-სათვის“ სახელმწიფოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთა და აღნიშნული ავტოსადგომით სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკა-

ნონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფო-ებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც სამართალუროთი ერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი და ერთადერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადაც სამართალუროთი ერთობაში სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადაც სამართალუროთი ერთობის ბუნება. დავის საჯაროსამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადაც სამართალუროთი ერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაშიც.

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას. შესაბამისად, შეფასებას საჭიროებს სადაც სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, რადგან განსჯადობის საკითხის განსაზღვრისას საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს და ხელშეკრულების მიზანს, რომელიც მისი შინაარსიდან დგინდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალუროთი ერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსიპ „112-ის“ მომსახურების საფასურის ოდენობის დადგენა და მოთხოვნილი თანხის დაანგარიშების წესის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბერის №489 დადგენილებით მოწესრიგება, თავისთავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულსამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სამოქა-

ლაქო კოდექსის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯაროსამართლებრივი მოთხოვნის სამოქალაქო კოდექსის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადაც სამართალურთო ერთობის სამოქალაქოსამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება წარმოიშობა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, მოსარჩელის ძირითადი მოთხოვნაა ფაქტობრივი მფლობელობის ხელშემლის ადაპტირების მიზნით მოპასუხისათვის ავტოსადგომიდან სატრანსპორტო საშუალების გაყვანის დავალება, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება. კერძოდ, სსიპ „112“, სასარჩელი მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ის გარემოებები, რომ 2015 წლის 11 ნოემბერს დ. მ-ეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დროებით ჩამოერთვა მფლობელობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალება და სსიპ „112-ის“ მიერ ავტომანქანა გადაყვანილ იქნა სპეციალურ დაცულ სადგომზე, სადაც დღემდეა განთავსებული, საჭიროების გასვლის მიუხედავად. სსიპ „112-ის“ მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა მოიცავს ევაკუატორის გამოძახების ღირებულებას (30 ლ.), სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით გადაადგილების საფასურსა (30 ლ.) და საჯარიმო სადგომზე დგომის ღირებულებას (3780 ლ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების“ მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სსიპ „112-ის“ ფუნქციებს შორის მითითებული იყო სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევაში ჩამორთმევას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების სპეციალურად დაცული სადგომის მოწყობა-ორგანიზების და სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების უზრუნველყოფის ფუნქცია (ასეთივე მოწესრიგებას ითვალისწინებს ამჟამად მოქმედი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი), რომელიც სსიპ-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამდენად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილე-

ბის საფუძველზე დამრღვევის ავტომანქანის ე.წ. „საჯარიმო“ სადგომზე გადაყვანა სწორედ სსიპ „112-მა“ განახორციელა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სსიპ „112-ის“ კუთვნილ სპეციალურ დაცულ სადგომზე განთავსებული ავტომანქანის მიმართ დასრულებულია სამართალდარღვევაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, შესაბამისად, საჭიროების გასვლის გამო დასრულებულია ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მართალია, სასაჩელო მოთხოვნები წარმოშობილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ქმედებების შედეგად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ სამართალურთიერთობაში აღარ მონაწილეობს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ასევე დავის საგანს არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩადენა და მასზე რეაგირების ფარგლებში შესრულებული ოპერაციები, გამოირიცხება საჯარო ელემენტის არსებობა და დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის შესაძლებლობა. სადაც ურთიერთობა ეხება უკვე განეული მომსახურების ლირებულების ანაზღაურებას და მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად, ტრანსპორტირებისა და სადგომზე შენახვის ხარჯები ეკისრება დამრღვევს, აღნიშნული ხარჯი ფაქტობრივად აღსრულების ლირებულებაა, რომლის მიღების უფლებაც სსიპ „112-ს“ აქვს გადაცემული, ხოლო ანაზღაურების განაკვეთები განსაზღვრულია ნორმატიულად – საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112-ის“ მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესით“ (მე-4 მუხ.). ამდენად, შსს-ს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა და შენახვა შესაბამისი საჭიროების გასვლამდე წარმოადგენს ადმინისტრაციულსამართლებრივ ურთიერთობას, რადგან ხორციელდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ხოლო სამართალდარღვევაზე რეაგირების დასრულების შემდეგ, სსიპ „112-ისა“ და დამრღვევი მძღოლის ურთიერთობის ბუნება კერძოსამართლებრივია, ვინაიდან სსიპ „112-ის“ ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალების უნებართვოდ, სადგომზე დატოვებით და ავტო

მობილის მფლობელის აღნიშნულ ქმედებაზე სსიპ „112-ის“ უმოქმედობით მხარეთა შორის დაიდო სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება. საკითხის არსებითად განმხილველმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციების გამოყენებით უნდა გადაწყვიტოს დავა და განახორციელოს სახელშეკრულები ურთიერთობის შეფასება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 161-ე, 172-ე მუხლებიდან გამომდინარე სსიპ „112-ს“, როგორც სადგომის მართლზომიერ მფლობელს, შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. რაც შეეხება, ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრებას, აღნიშნული ვალდებულების შინაარსის შეფასება სწორედ სამოქალაქო სამართალნარმოების წესით უნდა განხორციელდეს, რადგან სატრანსპორტო საშუალების სადგომზე გადაყვანისა და შენახვის ხარჯების მოპასუხის მიერ გადახდის ვალდებულება მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა, მას შემდეგ რაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილმა პირმა დაასრულა მის მიერ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე სარჩელის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება გამოძახების, გადაყვანის და შენახვის ანაზღაურების მოთხოვნას საჯარო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და ადმინისტრაციული სამართალნარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო შენახვის საჭიროების გასვლის შემდეგ სადგომის ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა და უძრავი ნივთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშეშლის აღკვეთის დავალება კერძოსამართლებრივი ხასიათისაა და არ არსებობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა (იხ. სუსგ 16.05.2019წ. საქმე №პს-431(გ-19) განჩინება).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მოსარჩელე სსიპ „112“, არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანო, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვით ხელშეკრულება მხარეთა შორის „საჯარიმ“ სადგომზე ავტომანქანის საჭიროების გასვლის მიუხედავად, მისი იქ დატოვებითა და სსიპ „112-ის“ მიერ სატრანსპორტო საშუალე-

ბის მის სადგომზე დატოვებაზე კონკლუდენტურად, დუმილით და-თანხმების საფუძველზე დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინის-ტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიე-ბის განხორციელების გალდებულებას სსიპ „112-ის“ მხრიდან. სა-მართალდარღვევაზე რეაგირების გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე გადაყვანა, რის გამოც მხარეთა შორის მათი კონკლუ-დენტური მოქმედებით წარმოიშვა სადაც სამართალურო თო-ბა, თავისთავად არ წარმოადგენს აღნიშნული დავის ადმინისტრა-ციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სამართალდარღვევაზე რეაგირე-ბის დროს განხორციელებული ქმედებები, არამედ მხარეთა შორის სამართალდარღვევის ამონტურვის შემდგომ დადებული ხელშეკრუ-ლების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებ-ლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება და მის მფლობელობაში არსებული ნიგოთის ფაქტობრივი მფლობელობის ხელშემლის აღვე-თა, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამო-ქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად მის შესრუ-ლებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის მე-11 მუხლის, აგრეთვე საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> და საქართველოს ზოგა-დი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სა-მოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამარ-თალნარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პა-ლატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქო კატე-გორიისადმი კუთვნილების შესახებ. საქართველოს ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძ-ველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ „112-ის“ სასარჩე-ლო მოთხოვნა, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, განხილული უნდა იქ-ნეს სამოქალაქო სამართლონარმოების წესით და საქმე განსჯა-დობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ „112-ის“ სარჩელი მოპასუხე დ. მ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექცევილდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **პარტიონის მიერ კერძო სამართლის იურიდიული აირის კაპიტალში ერთების შეტანის გართლზომიერების თაობაზე დავის განსჯადობა**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-1244(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. შ-ამ 2016 წლის 30 აგვისტოს სარჩელი აღძრა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში. მოსარჩელემ, მოპასუხეთა წრის დაზუსტების შემდეგ, მოპასუხებად დაასახელა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ასევე მესამე პირად მიუთითა სს „...ა“. მოსარჩელემ სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 ივლისის №... გადაწყვეტილების, 2016 წლის 2 აგვისტოს №... გადაწყვეტილების, 2016 წლის 9 აგვისტოს №... გადაწყვეტილების, 2011 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილების (ზედდების ნაწილში) და 2007 წლის 18 ივლისის №... ბრძანე-

ბის ნაწილობრივ, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის № 1-3/490 ბრძანების ნაწილობრივ (ამავე ბრძანების მე-5 პუნქტში, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ...ში, ს.კ. ...., დანართში მითითებული 36067 კვ.მ ნაცვლად დაფიქსირდეს 34 392.2 კვ.მ, რის საფუძველზეც განხორციელდეს ცვლილებები საჯარო რეესტრში) ბათილად ცნობა მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინებით ვ. შ-ას მოთხოვნა – ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის ბრძანება № 1-3/490 ამავე ბრძანების მე-5 პუნქტში, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სოფელ ...ში, ს.კ. ...., დანართში მითითებული 36 067 კვ.მ ნაცვლად დაფიქსირდეს 34 392.2 კვ.მ, რის საფუძველზეც განხორციელდეს ცვლილებები საჯარო რეესტრში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ხებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოყოფილ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხედ მითითებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭოველიძის ქ. № 10ა-ში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მოცემული დავა ჩათვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინებას და 2019 წლის 1 ნოემბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, ვინაიდან ვ. შ-ა ითხოვს სსიპ საწარმოთა მართვის საა-

გენტოს ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც, სს „...ის“ კაპიტალში მოსარჩელის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ნივთი შეიტანა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაადგინოს, იქნა თუ არა დაშვებული ხარვეზები ადმინისტრაციული წარმოების დროს, რა ვალდებულებები ჰქონდა სადავო გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს, რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა ადმინისტრაციული წარმოება.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მიიჩნევს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტილისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, სახეზე არის თუ არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 60<sup>1</sup> მუხლების დარღვევა. ზემოხსენებული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხოლო 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია საგულისხმოდ მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა მხარეთა კუთვნილ ნაკვეთებს შორის არსებული გადაფარვის გამო. მითითებული დავა შეჩერებულია ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინებით, განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დროულად განხილვის მიზნით, წინამდებარე დავა, როგორც ადმინისტრაციული საქმე, უნდა განიხილოს ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, მოსარჩელესა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შორის მიწის გადაფარვის ნაწილში არსებულ დავასთან ერთად, ვინაიდან ორი ადმინისტრაციული დავა ურთიერთდაკავშირებულია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის შესახებ, ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-

ცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლება-მოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ვ. შ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეპროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხლი). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის ობიექტს წარმოადგენს საგნობრივი განსჯადობის განსაზღვრა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ასახულ პირის კონსტიტუციურ უფლებაზე, რომლის ძალითაც ყოველი პირისთვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. ამდენად, პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მისი უფლება სხვა პირის მართლსანინააღმდეგო მოქმედებით დარღვეულია, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს თავისი უფლების დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებული დისპოზიციურობის პრინციპი, მხარეებს აძლევს სრულ თავისუფლებას თავად განსაზღვრონ დავის საგანი და სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმის მასალების მიხედვით, განსახილველ შემთხვევაში, სადავოა სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის №1-3/490 ბრძანების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობის საკითხი. იდენტურ სასარჩელო მოთხოვნაზე დავის განსჯადობის საკითხი საკასაციო პალატამ გადაწყვიტა 2020 წლის 12 მარტს გამოტანილ განჩინებაში, რომელშიც პალატამ განმარტა, რომ „საწარმოთა მართვის სააგენტო, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, ამდენად სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია აღმინისტრაციული ორგანოს, მიმართ, თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის

გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადაც სამართალურთიერთობის იმმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). ამდენად, კანონმდებლობაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დეტულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადაც სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში. ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადაც ბრძანების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. სადაც აქტის სახელწოდება იმთავითვე არ ადასტურებს მისი ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევის შესაძლებლობას, ორგანიზაციული და სხვა საეთხების მოწესრიგების პროცესში დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადაწყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძვლებს, მის შინაარსს, კონკრეტული აქტის გამოცემისას საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას“.

განსახილველ შემთხვევებში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის №1-3/490 ბრძანების მე-5 პუნქტით განხორციელდა შპს „...ის“ საწესდებო კაპიტალში თბილისა და საქართველოს სხვა რაიონებში მდებარე მიწის ნაკვეთების შეტანა. ბრძანება გამოცემულია „მენარმეთა შესახებ“ და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონების, საქართველოს ეკონო-

მიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 22 ივნისის №1-1/550 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტოს დებულების“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული სანარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების“ საფუძველზე.

საკასაციო პალატის მითითებით, „სახელმწიფოს საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი, მათ შორის სამენარმეო ურთიერთობის სფეროსაც, სახელმწიფოს აქვს ნორმატიული შესაძლებლობა იღებდეს მონაწილეობას კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ჰქონდეს წილი სანარმოში, იღებდეს მოგებას სამენარმეო ურთიერთობებიდან, უკეთუ აღნიშნული არ აბრკოლებს მისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელებას და არ ეწინააღმდეგება შესაბამის ნორმატიულ დანაწესებს. სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უწყებები, დაწესებულებები და ა. შ.). სახელმწიფო ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძო-სამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან წესრიგდება სამოქალაქო კანონებით (სკ-ის 8.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სსიპ სანარმოთა მართვის სააგენტომ, როგორც შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს წარმომადგენელმა, პარტნიორის საკუთრებაში არსებული ქონება შეიტანა შპს-ს კაპიტალში, ამდენად, სახელმწიფომ სამენარმეო საქმიანობაში მონაწილეობა მიიღორ როგორც კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა და არა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელმა, მარეგულირებელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი მაშინ არის სახეზე, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მისთვის კანონით განსაზღვრული ძირითადი უფლებამოსილების ფარგლებში და ამ უკანასკნელის შესრულების მიზნით. კერძო სამართლის იურიდიული პირის დაარსება და მისი კაპიტალის ფორმირება არ განეკუთვნება სახელმწიფოს ძირითად, საჯარო უფლებამოსილებათა რიგს. სახელმწიფოს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის მიზნით თავისი წარმომადგენლობა შეუძლია დააგალოს, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს სსიპ-ის მიერ განხორციელებული ყველა ქმედე-

ბის სახელწმიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შესრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამენარმეო საქმიანობა „მენარმეთა შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა, „მენარმეთა შესახებ“ კანონი არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებული საკანონმდებლო აქტი (იხ. სუსგ 12.10.2011წ. №ბს-733-727(გ-11)). „მენარმეთა შესახებ“ კანონის 2.1 მუხლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სააქციო საზოგადოება ნარმო-ადგენტის საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. ვინაიდან სახელმწიფო კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაცილეობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იგი შპს-ში პარტნიორად, ხოლო სს-ში აქციონერად მონაცილეობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით და თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ამდენად, სადაც სამართლურთიერთობაში სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო ასრულებს არა საჯარო უფლებამოსილებას, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს, როგორც პარტნიორს, გამოდის პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო-სამართლებრივ, პორიზონტალურ ურთიერთობაში კერძო სამართლის სუბიექტის სახით და როგორც პარტნიორი ახორციელებს სამენარმეო საქმიანობას „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

„...ის ინსტიტუციური მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1998წ. №... განკარგულების პირველი პუნქტის მიხედვით, ...ის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქონების ბაზაზე დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...ა“, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქმის მასალების მიხედვით, სადაც აქტის გამოცემისას, „...ა“ საქმიანობდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით (ამჟამად „...ა“ სააქციო საზოგადოებაა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ე.წ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა. სადაც აქტის გამოცემისას მოქმედი „მენარმეთა შესახებ“ კანონის 45.1 მუხლის მიხედვით, შპს-ს საწესდებო კაპიტალი უნდა ყოფილიყო სულ მცირე 200 ლარი. ამასთანავე, შპს-ში მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფორმირების შემდეგ, შესაძლებელი იყო კაპიტალში შენატანის სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების სახით განხორციელება, გარდა სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განვისა, არაფულადი შესატანი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში უნდა შეეფასებინა დამოუკიდებელ ექსპერტს (კანონის 3.3 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, სსიპ საწარმოთა მართვის

სააგენტომ, სადაც 17.07.2007წ. ბრძანებით, შპს-ს პარტნიორის – სახელმწიფოს სახელით შპს „...ის“ კაპიტალში განახორციელა არა-ფულადი შენატანი – შპს „...ის“ კაპიტალში შეტანილ იქნა შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საწარმოს კაპიტალი არის მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთობლიობა. საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე, ქონების ოდენობა ცვალებადია, საწარმოს კაპიტალის გაზრდა შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზით, მათ შორის პარტნიორის მიერ საწარმოს კაპიტალში გარკვეული შენატანის განხორციელებით, კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემით, რაც მოხდა კიდეც განსახილველ შემთხვევაში. ამდენად, სადაც აქტის გამოცემა განხორციელდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის საქმიანობის ფარგლებში, „მენარმეთა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის პარტნიორის უფლება-მოვალეობების განხორციელების წესებს შეეხება. ამდენად, გასაჩივრებული აქტი გამოცემული არ არის სახელმწიფოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტო მოქმედებდა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლის სუბიექტის პარტნიორის წარმომადგენელი. ამდენად, სახელწილების მიუხედავად, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. გასაჩივრებული ბრძანება არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უფრო მეტად კერძო-სამართლებრივი, განკარგვითი გარიგების მახასიათებელი ნიშნების მატარებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 17.07.2007წ. ბრძანების მართლზომიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს კაპიტალში შეტანილი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში არსებობაზე, სახელმწიფოს მიერ თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში კონკრეტული ქონების განკარგვის უფლებამოსილებაზე. დავის განმხილველმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს სახელმწიფოს მიერ არა საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილებასა და მართლზომიერებაზე, არამედ პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში კონკრეტული ქონების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მართლზომიერებაზე, რაც არსობრივად სამოქალაქო შინაარსის დავაა და არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან“ (იხ. სუსგ. საქმე №ბს-541(გ-19) 12.03.2020წ.).

საკასაციო პალატა კვლავ განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონ-

მდებლობიდან და ეხება პარტნიორის მიერ კერძო სამართლის იუ-რიდიული პირის კაპიტალში ქონების შეტანის მართლზომიერებას, რაც დავის სამოქალაქო ხასიათს ადასტურებს. რამდენადაც, სახეზეა პარტნიორის მიერ ქონების კერძო სამართლის იურიდიული პირის კაპიტალში შეტანა, დავა არ ეხება სახელმწიფო ქონების პრი-ვატიზაციას, პრივატიზაციის პროცედურის კანონიერებას, რაც თა-ვისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა რიგს გა-ნეკუთვნება. ამასთან, ის გარემოება, რომ სსიპ საწარმოთა მარ-თვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის აქტი გახდა საჯარო რეეს-ტრში შპს „...ის“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვე-ლი, არ ადასტურებს მისი კანონიერების ადმინისტრაციული წესით შემოწმების საჭიროებას, რადგან რეგისტრაციის შესახებ სსიპ სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებისა და რე-გისტრაციის საფუძვლად არსებული უფლებადამდგენი დოკუმენ-ტის სამართლებრივი ბუნება შესაძლოა, სრულიად განსხვავებუ-ლი იყოს. სადაც აქტის გამოცემისას მოქმედი „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქე-პუნქტის მიხედვით უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი შე-საძლოა, ყოფილიყო არა მარტო ნორმატიული ან/და ინდივიდუა-ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, არამედ გარიგება ან სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოშობდა უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრა-ციის მოთხოვნის უფლებას. ამდენად, სრულებით შესაძლებელია, რომ უფლებადამდგენი დოკუმენტის მართლზომიერების შესახებ დავა სამოქალაქო დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდეს მაშინ, როდესაც რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გა-დაწყვეტილების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული კა-ტეგორიის დავების განმხილველ სასამართლოთა განსჯადა (მაგ.: ნასყიდობის ხელშეკრულება და მის საფუძველზე განხორციელე-ბული რეგისტრაცია). მოცემულ შემთხვევაში, საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაცია დეტრმინირებულია კერძო-სამარ-თლებრივი აქტით. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზესტაფონის რა-ონული სასამართლოს 2017 წლის 22 მარტის განჩინებით №3/129-16 ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მხოლოდ სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 ივლისის №1-3/490 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში, სახელ-დობრ, გამოყოფილ ნაწილთან დაკავშირებით წარმოიშვა დავა გან-სჯადობის შესახებ. ამდენად, სარჩელის გამოყოფილი ნაწილი სა-მოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის იდენტური დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსა-

ხილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარების ვრცელი სამართლებრივი დასაბუთება მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 12 მარტს №გს-541(გ-19) საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. ასევე, საგულისხმოა, რომ ანალოგიური სასარჩელო მოთხოვნების განხილვა წარმოებს სამოქალაქო სამართალნარმოების წესით (იხ. სუსგ. საქმე №ას-640-606-2015 23.07.2015წ.). ამგვარად, პროცესის ეკონომიურობის, ოპერატორულობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. შ-ას სარჩელი – მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სავაჭრო-სამრეცველო კალატის პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1157(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. პ-ამ 2019 წლის 10 ივნისს სარჩელით მიმართა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საჯარო სამართლის კორპორაცია აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წინააღმდეგ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა, მ. პ-ას მიერ კანდიდატურის მოხსნილად მიჩნევისა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრებისათვის მხოლოდ გთ-ის კანდიდატურის წარდგენის თაობაზე, აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №2 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების 2019 წლის 12 ივნისის №1 ოქმისა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...ად გ. თ-ის არჩევის შესახებ, ამავე კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. აგრეთვე, მოპასუხისათვის, პალატის ახალი ...ის არჩევის მიზნით, პალატის საბჭოს რიგგარეშე სხდომისა და პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...მა - ი. დ-ებ მოითხოვა ...ის უფლებამოსილების შეწყვეტა, სხვა სამსახურში გადასვლის გამო. აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წესდების გათვალისწინებით, ...ის უფლება-მოვალეობების შემსრულებელი ავტომატურად გახდა მოსარჩელე, რომელიც 2018 წლიდან პალატის ...ის თანამდებობას იკავებს. მ. პ-ას 2019 წლის 31 მაისის №10 ბრძანებით, ...ის კანდიდატურის საერთო კრებისათვის წარდგენის მიზნით, 2019 წლის 12 ივნისს მოწვეულ იქნა პალატის საბჭოს რიგგარეშე სხდომა, ხოლო ახალი ...ის არჩევის მიზნით, ამავე დღეს, მოწვეულ იქნა პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრება. მოსარჩე-

ლის მოსაზრებით, 2019 წლის 12 ივნისს აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის საბჭოს სხდომა და რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდა მთელი რიგი დარღვევებით. საბჭოს სხდომას ფაქტობრივად ...ა არა ...ი მ. პ-ა, არამედ ი. დ-ე, რომელსაც იმ პერიოდისათვის სხდომაზე დასწრების უფლებაც კი არ გააჩნდა. საბჭოს კრებაზე დასახელდა ...ის ორი კანდიდატურა – გ. თ-ე და მ. პ-ა. სხდომის მიმდინარეობის პროცესში პალატის ყოფილი ...ის – ი. დ-ის გაუმართლებელმა ჩარევამ და მ. პ-ას პიროვნებისა და სტატუსის აშკარა უგულებელყოფამ, მოსარჩელე აიძულა დაეტოვებინა საბჭოს სხდომა, რაც საბჭომ მის მიერ კანდიდატურის მოხსნად განხილა. ალნიშნული უკანონო ინტერპრეტაციით საბჭომ უპირატესობა მიანიჭა მეორე კანდიდატს – გ. თ-ეს და საერთო კრებას შესთავაზა მხოლოდ მისი კანდიდატურა, რამაც უალტერნატივი გახადა საერთო კრების მიერ მისი არჩევა. ალნიშნული ლახავს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, მ. პ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაევზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განსახილველად.

სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ ნაწილზე და ალნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალნარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიეროობიდან, რაც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს და განპირობებული იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. სასამართლომ ალნიშნა, რომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატა არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც ფუძნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მენარმე სუბიექტებს (შემდგომში – მენარმე სუბიექტი) და მათ გაერთიანებებს. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მენარმე სუბიექტები და მათი

გაერთიანებები ნებაყოფლობით რეგისტრირდებიან პალატის წევ-რებად, მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ. პალატა წარმოადგენს რეზიდენტი ბიზნესუბიექტების ინტერესებს სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა რეზიდენტი ბიზნესუბიექტები პალატის წევრები. პალატის წევრობა ავტომატურად არ წარმოშობს მენარმე სუბიექტებისა და მათი გაერთიანებებისათვის სავალდებულო სანევრო შენატანის გადახდის ვალდებულებას. მენარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, საწევრო შენატანის დაწესება შეუძლია მხოლოდ საქართველოს ...ო პალატასთან შეთანხმებით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პალატის საქმიანობაზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ხსენებული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პალატის მიზანია, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი მენარმეების და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებით შეემნილი სანარმოების საქმიანობის მხარდაჭერით. სასამართლომ აღნიშნა, რომ პალატის ...ზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონთან ერთად, აგრეთვე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი და აღნიშნული კანონის მე-2 და 2<sup>1</sup> მუხლებიდან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...ი არ განიხილება თანამდებობის პირად. შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან.

სოხუმისა და გავრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განჩინებით მ. პ-ას სარჩელი განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოეცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ განსახილველი სამართალწარმოება მიმართულია საჯარო სამართლის კორპორაცია აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წინააღმდეგ. სამართალწარმოების საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის კორპორაციის მიერ ...ის არჩევის შედეგების ბათილად ცნობა, რა მიზნითაც უნდა დადგინდეს თავად პალატის საბჭოსა და საერთო კრებაზე მიღებული შედეგების კანონიერება. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო სამართლის კორპორაცია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქეყპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს არა-

ერთი განმარტებიდან გამომდინარე, განსჯადობის საკითხის გა-დაწყვეტისას მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი ხასიათი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას, მის შინაარსს. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწეს-რიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის ...ო პალატის მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი მენარმეების და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებით შექმნილი საწარმოების საქმიანობის მხარდაჭერით. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად კანონის მე-3 მუხლის მე-3 ბუნებრით განისაზღვრა პალატის უფლებამოსილებები – ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტაციის გავლის შემდეგ ადგილობრივი საქონლისა და უცხოური საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ექსპერტიზას და შეფასება; ბ) საქართველოში მოქმედი სავაჭრო, საბაჟო და სანავსადგურო წესების შესახებ ინფორმაციის დამოწმება; გ) საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოებების დამოწმება; დ) საერთო ფორმის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმება; ე) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმება; ვ) პრეფერენციული წარმოშობის GSP სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმება; ზ) „ევრო-1“ სერტიფიკატის გაცემას ან/და დამოწმება; თ) საიდენტიფიკაციო შტრიჩეკოდის მინიჭება; ი) რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის შესაბამისად დამცავი ნიშნის (ჰოლოგრამის) გაცემა; კ) საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშის დამადასტურებელი პალატის ნიშნის „წარმოებულია საქართველოში“ გაცემა; ლ) ფორსმაჟორული გარემოებების დამოწმება. სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებული უფლებამოსილებები საჯარო სამართლებრივ ურთიერთობას განეკუთვნება და გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ამასთან, სადავო ურთიერთობა წესრიგდება არა კერძო, არამედ, საჯარო სამართლით. პალატის ...ის არჩევის წესი, რომლითაც მოპასუხები იხელ-მდღვანელა, წარმოადგენს აფხაზეთის ა/რ კანონს, რომელშიც გა-

წერილია ძირითადი დებულებანი აფხაზეთის ა/რ ...ო ...ის არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 26 სექტემბრის განჩინებით მართებულად იქნა საქმე მიჩნეული სამოქალაქო დავად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის საჭიროა მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლო-

ბიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით, განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად, ადმინისტრციული სამართალწარმოებით საქმის განხილვას განაპირობებს როგორც საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, ისე საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა.

საჯარო სამართლის კორპორაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო სამრეწველო პალატა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო, რამდენადაც იგი წარმოადგენს ნევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია აფხაზეთის ა/რ მთავრობის დადგენილებით. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატა არის წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის კორპორაცია, რომელიც ფუძნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პალატა აერთიანებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილ მენარმეებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებით შექმნილ სანარმოებსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მენარმე სუბიექტებს და მათ გაერთიანებებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხოლოდ სამართალურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, თავისთავად არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების განმხილველი სასამართლოსადმი განსჯადობას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ითხოვს მ. პ-ას მიერ კანდიდატურის მოხსნილად მიჩნევისა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრებისათვის მხოლოდ გ. თ-ის კანდიდატურის წარდგენის თაობაზე, აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №2 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების 2019 წლის 12 ივნისის №1 ოქმისა და აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...ად გ. თ-ის არჩევის შესახებ, ამავე კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობას. აგრეთვე, მოპასუხისათვის, პალატის ახალი ...ის არჩევის მიზნით, პალატის საბჭოს რიგგარეშე სხდომისა და პალატის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის დავალებას. მოსარჩელის მოსაზრებით, დარღვეულ იქნა როგორც აფხაზეთის ა/რ

...ო პალატის საბჭოს მიერ პალატის საერთო კრებისათვის პალატის ...ის კანდიდატურის წარდგენის, ისე პალატის საერთო კრების მიერ ...ის არჩევის პროცედურები. დავის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მნიშვნელოვანია გაირკვეს სადაც აქტების გამოცემის საფუძვლები, აგრეთვე სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმა. კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს სადაც სამართალურთიერთობის ანუ აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...ის არჩევის მარეგულირებელი ნორმების ადგილი კანონმდებლობაში.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანობისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონფრონტირობით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფო ბრიგ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანობისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონფრონტირობით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. ამავე კანონის მე-10 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით) და ამ პირის წესდებით (დებულებით). საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს მთავრობის დადგენილების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, პროფესიული საჯარო მოხელის დასაქმებისა და სამსახურის გავლის პირობებს, საჯარო სამსახურის მართვის საკითხებს, აწესრიგებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტის ორ-

განოებში (დაწესებულებებში) და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საჯარო მოსამსახურეთა სამოხელეო სამართლებრივ ურთიერთობებს, თუ ამავე კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიულ პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). ამდენად, წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა არ განიხილება საჯარო სამსახურად. აფხაზეთის ა/რ ...ო პალატა წარმოადგენს საჯარო სამართლის კორპორაციას ანუ წევრობაზე დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს („საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ კანონის მე-4 მუხლი).

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პალატის ორგანოებია: პალატის საერთო კრება, პალატის საბჭო და პალატის ...ი. ამავე მუხლის მიხედვით, პალატის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, ხოლო უმაღლესი თანამდებობის პირი – ...ი. პალატის ...ს ირჩევს საერთო კრება ფარული, პირდაპირი კენჭისყრით, 4 წლის ვადით, საერთო კრებაზე დამსწრე დელეგატების ხმათა უმრავლესობით, პალატის წესდებით დადგენილი წესით. ხსენებული კანონის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პალატის საქმიანობაზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონი ცალსახად გამორიცხავს პალატის საქმიანობაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედების გავრცელების შესაძლებლობას. აფხაზეთის ა/რ ...ო პალატაში დასაქმებული პირი არ მიიჩნევა საჯარო მოხელედ, რაც გამორიცხავს დავის საგნის შემხებლობას სამოხელეო სამართლურთობასთან და სადაც სამართალურთობის ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმებით მოწესრიგებას. სადაც აქტების გამოცემის საფუძვლად მითითებული არ არის ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმები. აფხაზეთის ა/რ ...ო პალატის ...ის არჩევის პროცედურები მოცულია მხოლოდ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ კანონითა და პალატის წესდებით.

საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაძლოა ახორციელებდეს საჯარო საქმიანობას, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, დავა არ უკავშირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას, ამდენად, ხსებული გარემოება ვერ შეცვლის განსჯადობის წესა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ხორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამასთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე მ. პ-ას სარჩელისა გამო, საჯარო სამართლის კორპორაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ...ო პალატის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯაზობა

## განცილება საქართველოს სახელით

№ბს- 139(გ-21)

26 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ქადაგიძე,  
ქ. ცინცაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე განიხილა მ. გ-ას სასარჩელო განცხადებას-  
თან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალა-  
ქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

### აღნერილობითი ნაწილი:

მ. გ-ამ 20.11.2020წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სა-  
ქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის  
სამინისტროს მიმართ და მოითხოვა: თ. მ-ის ქ. თბილისის ...-ე საჯა-  
რო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის  
შესახებ მინისტრის 09.09.2020წ. ბრძანების ბათილად ცნობა, მო-  
პასუხისმგების მ. გ-ას სსიპ თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექ-  
ტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ ახალი ინ-  
დივიდუალური ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის გამოცე-  
მის დავალება, მოპასუხისმგების მ. გ-ას სასარგებლოდ მატერიალუ-  
რი ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მიუღებელი ხელფასის (2 500  
ლარი თვეში) სახით 09.09.2020 წლიდან სასამართლოს გადაწყვე-  
ტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და არაქონებრივი ზიანის  
ანაზღაურების დაკისრება 10 000 ლარის ოდენობით.

მ. გ-ამ აღნიშნა, რომ 2014 წლის 9 სექტემბრიდან 2020 წლის 9  
სექტემბრამდე მეორე ვადით იკავებდა ქ. თბილისის №... საჯარო  
სკოლის დირექტორის თანამდებობას. შრომითი ხელშეკრულების  
ვადის გასვლის შემდეგ, 08.09.2020წ. მ. გ-ამ ელექტრონულ საქმის  
წარმოების სისტემა „ეფლოუზე“ მიიღო მისი, როგორც სკოლის დი-

რექტორის რეგისტრაციის შენივეტის ბრძანება. სხვა სკოლის დი-რექტორებს 07.09.2020წ. დაუკავშირდნენ და აცნობეს, რომ მათ გაეგზავნებოდათ განცხადება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად გადანიშვნაზე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აღნიშნულ სიაში მოსარჩევე არ იყო. მ. გ-ამ განცხადებით მიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე. მ. გ-ას პასუხად ეცნობა, რომ შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საჯარო სკოლის დირექტორების კონკურსში ან საქმიანობა მასწავლებლად გაეგრძელებინა, ხოლო მოთხოვნა ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე არ დაუკმაყოფილდა. ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა თ. მ-ი, რომელიც მანამდე ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობას იკავებდა და მ. გ-ას მსგავსად, 08.09.2020 წ. ამოენურა №... საჯარო სკოლასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადა. მოსარჩევემ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქ. თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ განცხადებით. მ. გ-ა აღნიშნავს, რომ სკოლებში, სადაც მოქმედ დირექტორებს ხელშეკრულება არ გაუგრძელდათ, მოვალეობის შემსრულებლად არა გარეშე პირები, არამედ დირექტორის მოადგილები დანიშნეს, მათ შორის, №... სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად თ. მ-ის მოადგილე დანიშნეს, №... საჯარო სკოლაში კი, მ. გ-ასთან ხელშეკრულების შენივეტის შემდეგ, მოვალეობის შემსრულებლად №... სკოლის დირექტორი დანიშნეს. მ. გ-ა აღნიშნავს, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაციული მიდგომა და დაირღვა მოქმედი კანონმდებლობა, რის საფუძველზეც, იგი მოითხოვს დარღვეული უფლებების აღდგენას, განაცდურისა და არაქონებრივი ზოანის ანაზღაურებას. მოსარჩევემ აღნიშნა, რომ დავა არ გამომდინარებს შრომითი ხელშეკრულებიდან, რის გამოც სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 2.3 მუხლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.11.2020წ. განჩინებით მ. გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლო მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის წარმოშობილი შრომითი დავა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სკოლის დირექტორსა და ამ სკოლის თანამშრომლებს, სამეცნიერო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განიხილავს სასამართლო. სასამართლო, ასევე, მიუთითებს სასკ-ის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუზავნის უფლებამოსილ სასამართლოს. ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განსახილველ საქმეს, რადგან იგი წარმოადგენს საჯარო სკოლის დირექტორსა და სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავას. სასამართლომ დაადგინა, რომ მ. გ-ას სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.11.2020წ. განჩინებით მ. გ-ას უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. სასამართლომ განმარტა, რომ დაზუსტებას საჭიროებდა სასარჩელო მოთხოვნები, სრულად იყო მისათითებული ფაქტობრივი გარემოებები და წარსადგენი იყო მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა მ. გ-ას მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასთან ერთად, სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ წარმოშობილი დავის საფუძვლით, საქმის საკასაციო სასამართლოსთვის გადაცემა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.01.2021წ. განჩინებით მ. გ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.11.2020წ. განჩინება და საქმე სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხის გადაწყვეტის ეტაპიდან განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა. პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია წინამდებარე დავის სამოქალაქო სამართალნარმოების წესით განხილვის დასაშვებობა. თუ სასამართლო დაასკვნიდა, რომ დავა არ წარმოადგენს

სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის, იგი ვალდებული იყო, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილისა და სასკ-ის 26-ე მუხლი მე-3 ნაწილიდან გამომდინარე დავა წამოეწყო განსჯადობის შესახებ და აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. პალატამ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება გამოცემულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 41.4 და 44.3 მუხლების საფუძველზე. ამასთან, მოსაარჩელე ამავე საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით ითხოვს მის დანიშვნას ქ. თბილის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად. გარდა ამისა, პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მითითება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლზე არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსილვას, რადგან ხსენებული ნორმის სუბიექტია საჯარო სკოლის დირექტორი, სადავო შემთხვევებში, კი მ. გ-ას არ გააჩნია დირექტორის სტატუსი. მოსაარჩელე დანიშვნას არ უავშირებს შრომის კოდექსს, სადავო ბრძანება და ბრძანება, რომლის გამოცემასაც ითხოვს მოსაარჩელე, წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმეობის წესით, დავა ეხება ადმინისტრაციული კანონმდებლობას, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 18.02.2021წ. განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას აღნიშნული სარჩელის ადმინისტრაციული წესით განსილვის საჭიროების შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, გასაჩივრებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობით – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ასევე, მოსაარჩელის მოთხოვნაა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის ისეთი ქმედების დაგალება, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, ხოლო მატერიალური და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთ-

ხოვნა გამომდინარეობს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელზე გან-სჯადობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე უნდა გადაგზავნოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თა-ობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმი-ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედე-გად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძ-ველზე, წყვეტს რა დავის სასამართლოთა შორის განსჯადობის თა-ობაზე, თვლის, რომ მ. გ-ას სარჩელი თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარე-მოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. გ-ას სასარჩელო მო-ითხოვნას შეადგენდა: თ. მ-ის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ მინისტრის 09.09.2020წ. ბრძანების ბათილად ცნობა, მ. გ-ას სსიპ თბილისის ...-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად და-ნიშვნის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მოპასუ-ხისთვის მ. გ-ას სასარგებლობ მატერიალური და არაქონებრივი ზი-ანის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც აქტში „ზოგადი გა-ნათლების შესახებ“ კანონის ნორმების მითითება არ გულისხმობს დავის ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების წესით განხილ-ვას, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი შეიცავს გან-სჯადობის სპეციალურ წესს, კერძოდ ხსენებული კანონის 12.3 მუხ-ლი ადგენს, რომ საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამ-შრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგ-რეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლე-ბის, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სასა-მართლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს. ამ-დენად, განსახილების დავის სამოქალაქო წესით განხილვის ვალ-დებულება კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი. საკასა-ციო პალატა აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო სამართლის გამიჯ-

ვნა დოგმატურ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული მართლწერიგისათვის აქვს მნიშვნელობა, არ არსებობს უზივერსალური გამიჯვნის წესები. სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია შედგება კანონებით და სასამართლო პრაქტიკით, ისტორიული მეტამორფოზებით დამტკიციული საქრთო და საგამონაკლისო წესებისაგან, საგამონაკლისო წესები ზოგჯერ აფართოებენ ან ზღუდავენ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას. ამდენად, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში არ იძლევა ადმინისტრაციული სასამართლო ნარმოების იურისდიქციის გაფართოების შესაძლებლობას, საამისოდ საჭიროა კანონში ნოვაციის შეტანა. შესაბამისად, კანონისმიერ განსჯადობას ვერ შეცვლის პირველი ინსტაციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა სადაცო აქტის საჯარო ბუნების, სადაცო აქტში აქტის გამოცემის საფუძვლად საჯარო კანონმდებლობის – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ნორმების მითითება. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო კოლეგიები საერთო სასამართლოების სისტემის შემადგენელი ნაწილებია, რომელთა იურისდიქცია კანონმდებლობით განისაზღვრება, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა საგამონაკლისო წესით ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალწარმოებით სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით ნარმოშობილი სამართალურთიერთობის გადაწყვეტას. კანონით განსაზღვრულ საგნობრივ განსჯადობას არ ცვლის საკასაციო პალატის განჩინებაზე მითითება, ანალოგიის გავლება არარელევანტურია, რადგან მოცემული დავა არ ეხება საჯარო სკოლის დორექტორის შესაჩერებ კონკურსს, რომლის შესახებ დავაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არის განსახილველი (სუს 15.10.2015წ. №ბს-419-412(გ-15) განჩინება).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის დადგენილი წესები უფლებების დაცვის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლანი სასამართლოს ძირითადი უფლებს შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). საქმის ამა თუ იმ სასამართლოსადმი არაგანსჯადობის შემთხვევაში, უწყებრივი ქვემდებარეობისგან განსხვავებით, სასამართლო, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესების მიხედვით, ვალდებულია, განსჯადობის დარღვევით წარდგე-

ნილი სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობოს მოსარჩელეს (სასკ-ის 26-ე მუხ.), ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ *jura novit curia*-ს პრინციპიდან გამომდინარე (სასამართლოსათვის ცნობილია სამართლებრივი პრინციპები), განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე, დავა განსჯადობის თაობაზე ნარმოშობა სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეთა შორის. დაუშვებელია სამოქალაქო სამართლწარმოების წესით განსახილველი დავის მიჩნევა საჯარო-სამართლებრივ დავად და მისი ადმინისტრაციული სასამართლო წარმოების წესით განხილვა იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის მოთხოვნას საჯარო სამართლის ნორმების მოშველიებით ასაბუთებს. დაუშვებელია, აგრეთვე, არა-განსჯადი სასამართლოს განსჯად სასამართლოდ მიჩნევა მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ერიშება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (*ordre public*) შემადგენელ ნაწილად. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მ. გ-ა აღნიშნავს, რომ საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნის თაობაზე განცხადების წარდგენის დროს იგი დირექტორის სტატუსით არ სარგებლობდა, რაც გამორიცხავს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით განსაზღვრულ გარემოებას დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ (რასაც 25.01.2021წ. განჩინებაში იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა), თუმცა საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსაზღვრული მომენტისთვის, მოსარჩელის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლით დირექტორის თანამდებობაზე არყოფნა არ ქმნის მისი „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლში მოცემულ სუბიექტად განსაზღვრის გამომრიცხავ გარემოებას. მხარეთა შორის დავის გადაწყვეტისას მინიშნელობა ენიშვება მათ შორის არსებულ ნინარე ურთიერთობას, რომელშიც მ. გ-ა, სწორედ, შრომითი ურთიერთობით განსაზღვრულ – დირექტორის თანამდებობას იკავებდა და მისი მოთხოვნებიც, სწორედ, მის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობის უფლებამოსილების განხილურიელების გაგრძელებას გულისხმობს. ამასთანავე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს შრომის კოდექსის 6.3 მუხლზე, რომლის თანახმადაც, პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებ-

ლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრო-  
მითი ხელშეკრულების დადებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზია-  
რებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დავა განსჯადო-  
ბით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ქვემდებარება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ზოგადი განათლე-  
ბის შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით, საქართველოს ადმინისტრა-  
ციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სა-  
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხ-  
ლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. გ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდე-  
ბაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

**განვითარება  
საქართველოს სახელით**

№ბს-648(გ-21) 21 ოქტომბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
გ. სტურუა

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

2020 წლის 6 აპრილს შპს „... ...მა“ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – დმანისის

მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩევემ 2019 წლის 21 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №8 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის 33951.08 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განჩინებით შპს „... ...ის“ სარჩელის განხილვა, მოპასუხე დმინისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით, დადგინდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვა განსჯადობის წესის დაცვით უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: а) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს კალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად, დაღოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლება-მოსილების განხორციელების მიზნით, ხოლო ხელშეკრულების მი-

ზანი მისი შინაარსით განისაზღვრება.

სასამართლოს მითითებით, შპს „... ...სა“ და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2019 წლის 21 იანვარს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, შესყიდვების ობიექტს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებისას დმანისის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედებდა საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, მმართველობითი ფუნქციის შესრულების მიზნით, კერძოდ, ეს მიზანი იყო დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიღების უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა, მით უფრო, რომ კონსტიტუციისა და ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, საბაზო განათლება სავალდებულოა, შესაბამისად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია მოსწავლეთა ამ უფლების განხორციელებაში აქტიურად იყენენ ჩართულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. ამდენად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიზანია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა, რაც წარმოადგენს საჯარო მიზანს. ამრიგად, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ხასიათი არ არის კერძო-სამართლებრივი, რის გამოც საქმე უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნესით.

საქმის ადმინისტრაციული ნესით განმხილველმა ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა, რომ აღნიშნული დავა არის საჯარო-სამართლებრივი და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რომელიც ვალდებულებითი ხასიათისაა.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დაიდო, ის პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით არ აღჭურავს, რადგან არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის/სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და აღნიშნული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული და-

ვა სსსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65.2 და 65.1 მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავს წარმოადგენს.

შესაბამისად, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 ივნისის განჩინებით შპს „.... ...ის“ სარჩელი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრების მოთხოვნით, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონება ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ შპს „.... ...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო წესით განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეპროცესი კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება საგნობრივი განსჯადობის საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის 33951.08 ლარის დაკისრება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, საქმიანობის ფარგლებში, იყენებს როგორც საჯარო-სამართლებრივ, ასევე კერძო-სამართლებრივ ფორმებს, მათ შორის დებს ადმინისტრაციულ და კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების შედეგად პირი აღიჭურვება საჯარო სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულებით მხარეები გვევლინებიან სა-

მოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლად. აქედან გამომდინარე, განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ბუნების განსაზღვრას და მისგან წარმომბილი სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს.

საქმის მასალების მიხედვით, 2019 წლის 21 იანვარს დამანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „... ....“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №8 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა 2019 წლის 21 იანვრიდან 2019 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით დამნისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა. სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელებ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დეკემბრის თვეში კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 48379.21 ლარიდან მხოლოდ 14428.13 ლარი მიიღო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევამი, დავის საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავა კი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული წესით განსახილველად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. შესაბამისად, დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დადგენის საკმარის საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. გადამწყვეტი მინშვნელობა აქვს სადავო სამართლურთიერთობის შინარსს, ხელშეკრულების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებსა და უფლება-მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევამი ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ხელშეკრულება – სახელმწიფო შესყიდვის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების ვალდებულებას. შესაბამისად, დავის საგანიც კერძო-სამართლებრივია. ამას-

თან, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველიც სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს, კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სასამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, რის გამოც მოცემული სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო წესით განსახილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „.... ...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო წესით განსახილველად;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. ტერიტორიული განსჯადობა

#### განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით

განრჩევა  
საქართველოს სახელი

№ბს-1204(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: გ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2018 წლის 18 იანვარს  
სარჩელი აღწრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე რ.  
შ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის სახელმწიფოს სასარ-  
გებლოდ ჯარიმის – 3000 ლარის და ასევე ზედმეტად დარიცხული  
სახელფასო დავალიანების – 267.40 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, მოსარჩელესა და მოპასუხეს შო-  
რის 2016 წლის 12 აგვისტოს დაიდო სამხედრო სამსახურის გავლის  
შესახებ კონტრაქტი; ხელშეკრულების 3.3. პუნქტის მოქმედების  
ვადა განისაზღვრა 4 წლით, რომელიც სრულდებოდა 2020 წელს.  
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფ-  
როვის 2017 წლის 17 ნოემბრის №7960 ბრძანებით, „სამხედრო მო-  
სამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხ-  
ლის მე-2 პუნქტის „თ“ (კონტრაქტის პირობების დარღვევის) ქვე-  
პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, საქართველოს მთავ-  
რობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილებით დამტკიცებუ-  
ლი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო  
მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების“ 46-ე მუხ-  
ლის (აზარტული თამაში) პირველი პუნქტისა და „სადისციპლინო  
წესდების აღსრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს  
თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 12 აპრილის №23 ბრძანების თა-  
ნახმად საქართველოს შეარაღებული ძალების სახელეთო ჯარე-  
ბის დასავლეთის სარდლობის მე-... ქვეითი ბრიგადის პირველი კლა-  
სის რიგითი რ. შ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანდებობიდან და

დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან რეზერვში. რ. შ-ე გენერლური შტაბის უფროსის 2017 წლის 20 ნოემბრის №482 ბრძანების თანახმად გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან და მოხსნილ იქნა ყველა სახის კმაყოფიდან. ოუმცა, მას ნოემბრის თვის ხელფასი დაერიცხა სრულად 802.20 ლარი, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე დათხოვნილ იქნა 2017 წლის 20 ნოემბერს მას უნდა დარიცხოდა 20 დღის ხელფასი, რომელიც შეადგენდა 534.8 ლარს, ხოლო სხვაობა იყო 10 დღის, რამაც შეადგინა 267.40 ლარი. აღნიშნული თანხა ექვმდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 22 იანვრის განჩინებით №3/59-18ნ. ადმინისტრაციული საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე რ. შ-ის მიმართ, განსჯადობის წესის დაცვით გადაევაზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი განსჯადობის საერთო წესის შესაბამისად დავა უნდა განიხილოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედმა სასამართლომ (სარჩელის თანახმად, მოპასუხე ცხოვრობს ქობულეთის რაიონის სოფელ ...ში).

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებას და 2019 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

ბათუმის საქალაქო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ არის უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული დავა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საერთო განსჯადობის წესებს და თანაბრად ეხება და ვრცელდება ყველა ორდინალურ შემთხვევაზე, თუ სახეზე არ გვაქვს განსაკუთრებული შემთხვევა, საერთო წესიდან ერთგვარი გამონაკლისი. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს განსჯადობის შესახებ არსებული საგამონაკლისო წესი, კერძოდ, სახელშეკრულები დავების დროს განსჯად სასამართლოდ მიიჩნევა ის სასამართლო, რომლის იურისდიქციის ტერიტორიზეც შესრულდა ხელშეკრულება ან სადაც იგი უნდა შესრულებულიყო. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა იგულისხმება „ხელშეკრულების შესრულების ადგილში“ კონკრეტული დავის კონტექსტში, მნიშვნელოვანია მისი შენარჩისის განალიზება: კონკრეტული გარემოებების არსებობისას, სამხედრო სამსახური გულისხმობას საქმიანობას ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც (ეს არის სამ-

ხედრო სამსახურის სფერიზიკა). თუმცა მნიშვნელოვანია ის გარე-მოქაცია, თუ სად იყო მოპასუხის სამსახურის ბოლო ადგილი (სადაც ის ასრულებდა საკონტრაქტო ვალდებულებას). საქმის მასალებით ეს ადგილი უდავოდ დგინდება და ის არის ქ. ქუთაისი. საქმეში არა-ფერი მიუთითებს სანინააღმდეგოზე, ანუ მოპასუხე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას (სამხედრო სამსახურს გადიოდა) ასრულებდა სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში (კონტრაქტს იმავე არეალში შეასრულებდა, რომ არ შეეწყვიტა და არ ნასულიყო სამხედრო სამსახურიდან).

ამდენად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით მოცემული დავა ექცევა განსაკუთრებული განსჯადობის წესების, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის რეგულაციის სფეროში. ამაზე ასევე მიუთითებს კონტრაქტის 8.4.1 პუნქტი. მართალია, იმ შემთხვევაში, როცა განსჯადობა არის ცხადი, მხარეები ვერ დაადგენენ სასამართლოს განსჯადობას თავიანთი შეთანხმების საფუძველზე (სსსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუმცა განსახილევ შემთხვევაში, სასამართლოს მოსაზრებით, ეს პრობლემა არ დგას, ვინაიდან ხელშეკრულების ეს დებულება არის არა შეთანხმება განსჯადობაზე, არამედ დამატებითი არგუმენტი იმის ხაზგასასმელად, რომ სახეზეა სახელშეკრულებო (საჯარო, ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე) დავა და იგი უნდა გადაწყვდეს განსაკუთრებული განსჯადობის წესების დაცვით და არა მარტომდენ მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (შესაძლებელია, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილი ასევე ემთხვეოდეს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილსაც). ამდენად, როცა ხელშეკრულების შესრულების ადგილი ან ის ადგილი, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, ცალსახად დგინდება საქმის მასალების მიხედვით, განსჯადობა უნდა გადაწყვდეს განსაკუთრებული განსჯადობის პრინციპზე დაყრდნობით, ხოლო თუკი საქმის მასალებით ასეთი ადგილი ვერ დგინდება, რელევანტური იქნება განსჯად სასამართლო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქმედი სასამართლოს მიჩნევა. ამრიგად, ბათუმის საქალაქო სასამართლო მიიჩნია, რომ მოცემულ დავაში უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს არა ბათუმის საქალაქო სასამართლო არამედ ქუთაისის საქალაქო სასამართლო, რადგან ხელშეკრულება სრულდებოდა და/ან უნდა შესრულებულიყო ამ უკანასკნელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსი-ლების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის გან-სჯადობის თაობაზე, მიიჩინევს, რომ საქართველოს თავდაცვის სა-მინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარე-ბა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამარ-თლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტო-რიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასა-მართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ესება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის გან-სჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკო-ნომიურობას და ოპერატორიულობას, სასამართლოებს შორის დატ-ვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, კონკრეტული დავის თავი-სებურებები. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩევე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნ-და იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთ-ვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პი-რის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, თუმცა საპ-როცესო კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თა-ვისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს განსჯადობის არაერთ სპეციალურ წესს.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო კონტრაქტით გათვა-ლისწინებული ჯარიმისა და ზედმეტად გაცემული ხელფასის მო-პასუხისათვის დაკისრება. ადმინისტრაციული საქმეების ტერიტო-რიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კანონ-მდებლობით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15-24-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ცალკე არ ანესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერი-

ტორიულ განსჯადობას. საერთო წესის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. ამდენად, ტერიტორიული განსჯადობა უმეტესად წყდება მოპასუხის ადგილ-მდებარეობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 – 19<sup>1</sup> მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხავი) ხასიათისა, რაც გულისხმობს სპეციალური წესის დამდგენი ნორმების უპირატესობის მინიჭებით განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს ჩარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების, ანუ იმ ვალდებულების შესრულების ადგილით, რომლის შესრულების მიზნითაც დაიდო ხელშეკრულება. ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განისაზღვროს კონკრეტულად (ნორმატიულად ან მხარეთა შეთანხმებით) ან დარჩეს განუსაზღვრელი. უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულებით ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე დგინდება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების კონკრეტული ადგილი ხელშეკრულებით ან ნორმატიულად არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულების ბუნებიდან იკვეთება აშკარად. ასეთ შემთხვევაში შესრულების ადგილის დადგენა ხელშეკრულების მხარეთა წების ახსნა-განმარტების გზით ხდება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება შესასრულებელი ვალდებულების ბუნება, მსგავს ურთიერთობებში დამკვიდრებული წესები, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და სხვ.. შრომითი ხელშეკრულების დროს ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განსახორციელებელი სამუშაოს სპეციფიკაზე იყოს დამოკიდებული. როგორც წესი ასეთ დროს დასაქმებულის მიერ მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება ხდება დამსაქმებელის მიერ განსაზღვრულ ადგილას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ

2016 წლის 12 აგვისტოს ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ რ. ი-ის ძე შეს შორის დაიდო „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურების (გარდა ოფიცირებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ კონტრაქტი, რომლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურები იკისრა ვალდებულება სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ კეთილსინდისიერად ემსახურა სამინისტროს სამხედრო სამსახურში (კონტრაქტის 1.1 პუნქტი). კონტრაქტის შემდგომი პუნქტებით განისაზღვრა ხელშეკრულების მიზნებისათვის „სამხედრო სამსახურის“ შინაარსი, მხარეთა მიერ გაცემული გარანტიები, სამხედრო სამსახურის გავლის ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი, შრომის ანაზღაურების წესი და ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები. კონტრაქტის შინაარსიდან დგინდება, რომ ხელშეკრულება დადებულია პირის სამხედრო სამსახურში დასაქმების მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დებულებები კი გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული ძირითადი ვალდებულების სათანადო შესრულების ინტერესიდან. ამდენად, დავის მხარეებს შორის არსებული 2016 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების – სამხედრო სამსახურის გავლის ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული საქმის იდენტური დავის განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთვის დაქვემდებარების სამართლებრივი დასაბუთება მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ნოემბრის №ბს-427(გ-19) საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. ამგვარად, პროცესის ეკონომიურობის, ოპერატორულობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, დავა ტერიტორიული განსჯადობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე

რ. შ-ის მიმართ განსჯადობთ განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

## განსჯადობა ადმინისტრაციული საგართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1395(გ-19)

27 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს „....ის“ საჩივრის განსჯადობის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

#### აღნერილობითი ნაწილი:

სს „....ამ“ 2019 წლის 11 ნოემბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს ოუზირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ამავე სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №2; №4; №5; №6; №8; №9; №11 და №12 დაფგენილებების გაუქმება და სანარმოს მიმართ შედგენილი, №000421, №000422, №000420, №000304, №000146, №000147, №000416 და №000423 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე მიმდინარე საქმისნარმოების, სადაც გამხდარი მითითებების ნაწილში, შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით სს „...ის“ საჩივარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №4 დადგენილების გაუქმებისა და №000422 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფარ-გლებში საქმისნარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, მიღე-ბულ იქნა სასამართლო ნარმოებაში, ხოლო დანარჩენ ნაწილში – გადაგზავნილ იქნა განსჯად სასამართლოებში. მათ შორის, სს „...ის“ საჩივარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევ-ნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინის-ტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 და №12 დადგენილებების გა-უქმებისა და №000420 და №000423 ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისნარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავ-ნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრა-ციული საპროცესო კოდექსით დადგენილია განსჯადი სასამარ-თლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის პრინციპი. სასამართლომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-თა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ ადმინის-ტრაციული სამართალდარღვევის საქმე განხილულ უნდა იქნეს მი-სი ჩადენის ადგილას. შედეგად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიამ ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის შესაძლო ჩა-დენის ადგილებზე და მიუთითა, რომ №000420 და №000423 ოქმე-ბი შექება გარდაბნის რაიონში, სოფელ მარტყოფსა და სოფელ სააკაძეში ჩადენილ დარღვევებს და საქმე უნდა განიხილოს სა-მართალდარღვევის ჩადენის ადგილას მოქმედმა სასამართლომ. ასეთად კი, №000420 და №000423 ოქმებთან დაკავშირებით წარ-დგენილი საჩივრის ნაწილში მიჩნეულ იქნა რუსთავის საქალაქო სა-სამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 19 დეკემბრის განჩინებით საქმე ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადა-საწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედ-გენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტორების დეპარტამენტის მიერ, რომ-ლის ადგილსამყოფელიც არის თბილისში. ამასთანავე, ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის – სს „...ის“ ადგილ-

სამყოფელს, ასევე, წარმოადგენს თბილისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ საქმე განხილულ უნდა იქნეს მონინააღმდეგე მხარის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ყველა სადაც იქმის განხილვის შემთხვევაში დაცული იქნება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წარმართვისა და სასამართლოს ეკონომიურობის ძირითადი პრინციპები. შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „...ის“ საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განხინების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტის რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით სს „...ის“ საჩივარი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს გარდაბნის მუნიციპალიტეტში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თუკი პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, იმავე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუეზონოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დაის თავისებურებების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები და ამავე კოდექსის მე-15 მუხლის პირ-

ველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სა-სამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მი-ხედვით. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდა საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადო-ბის ზოგადი წესებისა, სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტუ-ლი დავების მიმართ განსაზღვრულია განსჯადობის მომწერიგე-ბელი სპეციალური წესები. სპეციალური და ზოგადი წესების კო-ლიზისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ წესს და მის საფუძველზე მოხდეს განსჯადი სასამართლოს დად-გენა. განსჯადობის ასეთ, ერთ-ერთ სპეციალურ წესს ითვალისწი-ნებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კო-დექსის 261-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩა-დენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვა-ლისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეე-ბისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა საქმები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვე-ვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრული გან-სჯადობის წესის გამოყენებისთვის, სახელდობრ, დარღვევის ჩა-დენის ადგილას საქმის განსახილველად მნიშვნელოვანია, რომ სა-დავო იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მი-ღებული ოქმებისა თუ დადგენილებების კანონიერება და ეს საქ-მისწარმოება არ იყოს დაწყებული ამავე კოდექსის 116-ე-125-ე, 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სს „...ის“ მიმართ 2019 წლის 12 ივნისს შედგენილია №000420 და №000423 ადმინის-ტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რომელთა საფუძველ-ზეც საწარმოს გამოეცხადა გაფრთხილება. ოქმების შედგენის სა-ფუძველი გახდა შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა და ისი-ნი გამოცემულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე. მითითებული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შრომის უსაფრთხოების ნორ-მების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კა-ნონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდე-ბარე ნორმატიული აქტებით, ხოლო ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რე-გულირდება აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-

დარღვევათა კოდექსით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში სადაცოა სწორედ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების კანონიერება, რადგან შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთ სახეს. ამასთანავე, ვინაიდან „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი განსჯადობის სპეციალურ წესს არ ადგენს და ამავე კანონით გათვალისწინებული დარღვევები მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი სამართალდარღვევები არ ექცევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო ნორმებში. შესაბამისად, №000420 და №000423 ოქმების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები განხილულ უნდა იყოს მათი ჩადენის ადგილას. კერძოდ, №000420 ოქმი შეეხება გარდაბანში, სოფელ მარტყოფში ჩადენილ სავარაუდო დარღვევას; №000423 ოქმი კი – გარდაბნის რაიონში, სოფელ სააკაძეში ჩადენილ ქმედებას. რაც შეეხება დასახელებულ ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს დადგენას, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თევითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით, ხოლო იმავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლების რაოდენობა განსაზღვრულია 2 მოსამართლით, რომლებიც უფლებამოსილებას განახორციელებენ გარდაბნის მუნიციპალიტეტში. ამდენად, ვინაიდან სადაცო ტერიტორიაზე უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირველი ინსტანციით განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე დავებს, ტერიტორიული განსჯადობის წესების გათვალისწინებით, სს „...ის“ საჩივრის სადაცო ნაწილში განხილვა-

ზე უფლებამოსილი არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლო გარდაპირის მუნიციპალიტეტში. (იხ. მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის №ბს-3(გ-20) და 19 თებერვლის №ბს-1(გ-20) განჩინებები).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სს „...ის“ საჩივარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის №5 და №12 დადგენილებების გაუქმებისა და №000420 და №000423 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ფარგლებში საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს გარდაპირის მუნიციპალიტეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „...ის“ საჩივარი, მოწინააღმდეგე მხარის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს გარდაპირის მუნიციპალიტეტში;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა უძრავი ნივთისა და საჯარო რეესტრის  
ტერიტორიული ორგანოს ადგილობრივი  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-430(გ-19)

28 მაისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და სა-  
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-  
3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მო-  
ქალაქე ნ. გ-ის სარჩელთან დაკავშირებით დაგა განსჯადობის თა-  
ობაზე სიღნალის რაიონულ სასამართლოსა და თელავის რაიონულ  
სასამართლოს შორის.

**აღნერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მა 18.10.2017წ. სარჩელით მიმართა სიღნალის რაიონულ სა-  
სამართლოს მოპასუხე სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოსა და საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარ-  
ჩელებ მოითხოვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილება-  
ზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-  
ტოს 12.09.2017წ. გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების  
შეჩერების შესახებ 10.07.2017წ. გადაწყვეტილების, სარეგისტრა-  
ციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 11.08.2017წ. გადაწყვეტილე-  
ბის ბათილად ცნობა და მოპასუხეთათვის 10.09.2003წ. სასოფლო-  
სამეურნეო მინის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების საფუძველ-  
ზე ნ. გ-ის საიჯარო უფლების რეგისტრაცია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საგარეჯოს გამგეობასთან  
10.09.2003წ. დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მას  
იჯარით გადაეცა საგარეჯოს რაიონის სოფელ ...ში მდებარე 296 ჰა  
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთი 49 ნლის ვა-  
დით. ხელშეკრულება, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობის  
მიხედვით, მოიჯარის 10.09.2003წ. განცხადების საფუძველზე და-  
რეგისტრირდა საგარეჯოს რაიონის მინის მართვის სამმართველოს

განცხადებების რეგისტრაციის რეესტრში №... რიგითი ნომრით. აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნით მოსარჩელემ 04.07.17წ. მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საგარეჯოს სარეგისტრაციო სამსახურს, თუმცა მარეგისტრირებელი ორგანოს 10.07.17წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იჯარის რეგისტრაციის თაობაზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წარდგენის საჭიროების საფუძვლით. სარეგისტრაციო სამსახურის 11.08.17წ. გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წარდგენლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თუმცა სააგენტოს 12.09.17წ. გადაწყვეტილებით 6. გ-ს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელე თვლის, რომ უდავოდ დასტურდება საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაცია მიწის მართვის სამმართველოში. ის, რომ შესაძლოა აღნიშნული მონაცემები არ არის დაცული მარეგისტრირებელი ორგანოს არქივში, შედეგად არ უნდა იწვევდეს მოსარჩელის უფლების დარეგისტრირებაზე უარის თქმას. საიჯარო ურთიერთობა წარმოიშვა 2003 წელს, ამ პერიოდიდან მოიჯარემ დაიწყო საიჯარო ხელშეკრულების საგნით სარგებლობა და საიჯარო მოსაკრებლის გადახდა.

სიღნალის რაიონული სასამართლოს 03.11.2017წ. განჩინებით 6. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი, რომელიც მდებარეობს ქ.თელავში. სსკ-ის 15.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ, სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. სასამართლომ აღნიშნა, რომ 6. გ-ს მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ამდენად, განსჯადობის განსაზღვრისთვის უნდა დადგინდეს არა გამოცემული აქ-

ტების შინაარსი და უძრავი ქონების მდებარეობა, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. სწორედ ორგანოს მდებარეობის მიხედვით უნდა განისაზღვროს სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც განეკუთვნება საქმე განსახილველად. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 16.1 მუხლის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დავაზე მოპასუხები არიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული ოფისი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან დავის განხილვა უნდა მოხდეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თელავის რაიონული სასამართლო.

თელავის რაიონული სასამართლოს 17.11.2017წ. განჩინებით, სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, სისპ ქონების მართვის სააგენტო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ამავე სასამართლოს 20.12.2017წ. განჩინებით მესამე პირის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია.

თელავის რაიონული სასამართლოს 27.02.2019წ. განჩინებით ნ. გ-ის სარჩელი ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისა და განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლზე, სასკ-ის მე-2, 26-ე მუხლებზე, სსკ-ის მე-15, მე-16, მე-18, 20-ე, 21-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, დავის საგანს შეადგენს საგარეჯოს რაიონის, სოფ. ...ში მდებარე საოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება და ამ უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების – იჯარის რეგისტრაციის დავალება. ამდენად, მოსარჩელის საბოლოო მიზანია უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების მოპოვება და რეგისტრაცია, ყველა სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს. სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, 5.1, 31.1 მუხლებზე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური – საგარეჯოს ფილიალი. მართალია, ფილიალი უშუალოდ არ გამოსცემს უძრავ ნივთებზე კანონით განსაზღვრული უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, თუმცა გარკვეული მოცულობით ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ალძრულ სარჩელებზე, რაც დაკავშირებულია უძრავ ნივთებზე ქონებრივ უფლებასთან, ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს – კახეთის რეგიონული ოფისის ადგილმდებარეობის მიხედვით სარჩელის განხილვა, გამოიწვევს სარჩელების თავმოყრას მხოლოდ ერთ სასამართლოში. სწორედ აღნიშულის გათვალისწინებით ამ სახის დავებზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით განისაზღვრა, რომ ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ საჯარო რეესტრთან დაკავშირებულ დავებში, განსჯადობა უნდა გადაწყდეს უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიკურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას (იხ. სუსგ №ბს-439-436(გ-17), №ბს-639-635(გ-17), №ბს-952-943(გ-16), №ბს-984-980(გ-17), №ბს-1068-1062(გ-17), №ბს-219-217(გ-17), №ბს-715-711(გ-17)).

სასამართლომ აღნიშნა, რომ 17.11.17წ. განჩინებით თელავის რაიონული სასამართლოს მიერ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. სსკ-ის 22-ე მუხლი, რომლის თანახმად განსჯადობის წესების დაცვით წარმოებაში მიღებული საქმე სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსჯადობის საკითხის წამოჭრა შეუძლია ასევე მხარეს, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს ამ საკითხზე, რა ეტაპზეც არ უნდა იყოს საქმის განხილვა. არაგანსჯადმა სასამართლომ სსკ-ის 21-ე მუხლის თანახმად შესაძლოა განიხილოს საქმე, თუმცა ამაზე ორივე მხარემ უნდა გამოთქვას წერილობითი თანხმობა და რაც მთავარია, მოპასუხე უნდა იყოს თანახმა. თუკი მხარე საქმის განხილვის რომელიმე ეტაპზე მიიჩნევს, რომ საქმეს იხილავს არაგანსჯადი სასამართლო, სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული მხარის მიერ დასმული საკითხი და მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა მიიღოს კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამარ-

თლომ მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის, მოპა-სუს მხარის და ასევე მესამე პირის შუამდგომლობა და მხარეთა ერთობლივი განმარტება განსჯადობის საკითხზე არის საფუძვლი-ანი, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უნდა მოხდეს განსჯადობის სპეციალური წესების – ნივთობრივი განსჯადობის საფუძველზე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს ტერიტორიული სამსახური საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, რაც არჩეული იქნა სარჩელის აღდგრისას მოსარჩელის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე თელავის რაიონულმა სასამართლოშ მიიჩნია, რომ ის არ არის უფლებამოსილი განიხილოს სარჩელი და საქმე ტერიტორიული განსჯადობის წესებით დაცვით ექვემდებარება სილნალის რაიონულ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე სილნალის რაიონული სასამართლოსა და თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სილნალის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხებს.

მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება ერთავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტებს. დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ საიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების, არამედ სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისის გადაწყვეტილებებს, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოს და კახეთის რეგიონული ოფისის აქტების ბათოლად ცნობას, უძრავ ქონებაზე იჯარის გავრცელების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს საგარე-

ჯოს რაიონის სოფელ ...ში, საგარეჯოს რაიონში ფუნქციონირებს აგრეთვე სააგენტოს საგარეჯოს ფილიალი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 3.3 მუხლის თანახმად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიულა სარეგისტრაციო სამსახურებისა და ავტო-რიზებული პირების მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 5.1 მუხლის მიხედვით, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონული ოფისი და ფილიალი (დებულების 6.2 მუხ.), ამასთანავე, ორივე ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე (დებულების 10.1, 10.4 მუხ.), ტერიტორიული სამსახურების უფროსები ანგარიშებალდებულები არიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის უფროსების წინაშე (დებულების 10.6 მუხ.). „დებულების“ მიხედვით, რეგიონული ოფისისა და ფილიალის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება (30.1, 31.1 მუხ.), ორივე მათგანი უზრუნველყოფს სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენლობას (დებულების 30.2 მუხ. „გ“ ქვ.პ., 31.2 მუხ. „დ“ ქვ.პ.). მართალია, ფილიალი უშუალოდ არ გამოსცემს უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის შესახებ აქტებს, თუმცა გარევული მოცულობით ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, კერძოდ, იღებს განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში ადასტურებს გარიგების მხარეების ხელმოწერებს, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს კორესპონდენციებს, ასრულებს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეულ დავალებებს (დებულების 31.2 მუხ.). თავის მხრივ, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის საქმიანობის მიზანია სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის წარმოება და ერთიანი სარეგისტრაციო პოლიტიკის გატარება (დებულების 15.1 მუხ.), რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა ფუნქციებს, მათ შორის, სააგენტოს მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით, ხელს უწყობს ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, დასახლებებსა და დასახ-

ლებების უბნებში მომსახურების პუნქტების რაოდენობის გაზრდას (დებულების 15.2 მუხ. „გ“ ქვ.პ.). ამდენად, ფილიალი, როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების განმახორციელებელი ორგანო, იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 8.1 მუხლით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველს – დაინტერესებული პირის განცხადებას და თავის უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობს აქტის გამოცემის მიზნით მიმდინარე წარმოებაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. თავის მხრივ, სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების შესაბამისად დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეუუთვინის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამონაკლისის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება სსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი. ამ წესის მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ...ში, ასევე ქ. საგარეჯოში მდებარეობს საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს საგარეჯოს ფილიალი (ჯაფარიძის ქ. №2), რომლის საქ-  
მითანია მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნ-  
ქციების შესრულება (დებულების 6.2 მუხ. „ლ“ ქვ.პ., 31.1 მუხ.). საქ-  
მის მასალებით დასტურდება, რომ დავის საგანს შეადგენს საგა-  
რეჯოს რაიონის სოფ. ...ში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშ-  
ნულების ნაკვეთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებე-  
ბის კანონიერება და ამ უძრავ ქონებაზე ქონებრივი უფლების –  
იჯარის უფლების რეგისტრაციის დავალება. მაშასადამე, მოსარ-  
ჩელის საბოლოო მიზანს წარმოადგენს საგარეჯოს რაიონში მდე-  
ბარე უძრავ ნივთზე – მინის ნაკვეთზე ქონებრივი უფლების მოპო-  
ვება და რეგისტრაცია, სარჩელის ცველა მოთხოვნა მოსარჩელის  
ამ მიზნით არის დეტერმინირებული. შესაბამისად ტერიტორიული  
განსჯადობა ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა გადაწ-  
ყდეს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ფილიალების უფლება-  
მოსილების შეზღუდვა, ფილიალების იურიდიული მისამართისა და  
უძრავი ქონების მდებარეობის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ  
სასამართლოს არ აქცევს არაგანსჯადად, რამდენადაც აღნიშნუ-  
ლი გამოიწვევს რეგიონული ოფისების ადგილმდებარეობის მიხედ-  
ვით იურისდიქციის მქონე სასამართლოების გადატვირთვას და ფი-  
ლიალების ადგილსამყოფლის მიხედვით, სასამართლოების ნორ-  
მატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შეკვეცას, რითაც  
დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განა-  
ნილების პრინციპი. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთა-  
ისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტე-  
რიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესა-  
ხებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/  
150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო)  
სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილე-  
ბის 38.2 მუხლის თანახმად, სიღნაღის რაიონული სასამართლოს  
სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა სიღნაღის, დედოფლისწყა-  
როსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზ-  
ღვრებით. ამდენად, უძრავი ნივთი, ასევე აღნიშნულ ტერიტორია-  
ზე სისი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსი-  
ლების განმახორციელებელი ტერიტორიული ორგანო – ფილიალი  
მდებარეობს სიღნაღის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტე-  
რიტორიაზე, რის გამოც დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემ-  
დებარეა. გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი დავა არ გა-  
ნეკუთვნება სასკ-ის მე-6 მუხლში მოცემული მაგისტრატ მოსამარ-  
თლეთა განსჯადი ადმინისტრაციულ საქმეთა რიგს, შესაბამისად  
საქმე სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის ზემოადნიშნული წესი მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ უძრავ ნივთებზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების რეგისტრაციის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე ვრცელდება.

რაც შეეხება თელავის რაიონული სასამართლოს მითითებას განსჯადობის წესზე მხარეთა მოსაზრებებთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმ სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. ამასთანავე, სარჩელის წარმოებაში მიღება არ აბრკოლებს შემდგომში, სათანადო საფუძვლების გამოვლენისას სასამართლოს მიერ ტერიტორიულ ან საგნობრივ განსჯადობაზე მსჯელობის, სარჩელის განსჯადი სასამართლოსათვის გადაგზავნის შესაძლებლობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. გ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სიღნალის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა მოჰასუების – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-4(გ-20)

6 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე, განიხილა ზ. მ-ის, თ. მ-ის, ბ. მ-ის და მე. მ-ის  
სარჩელის განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ბათუმის საქა-  
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის  
წარმოშობილი დავა.

#### აღნერილობითი ნაწილი:

ზ. მ-ემ, თ. მ-ემ, ბ. მ-ემ და მე. მ-ემ 2019 წლის 3 დეკემბერს  
სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – საქართველოს ეკო-  
ნომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ტექ-  
ნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიმართ და  
მოითხოვეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარე-  
ბის მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №12726/21 გადაწყვეტი-  
ლების, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის საა-  
გენტოს უფროსის 2019 წლის 4 ივლისის №107-04 ბრძანების, 2015  
წლის 14 ივლისის №46-04 ბრძანების, 2013 წლის 23 მაისის №40/01-  
06 ბრძანების და 2019 წლის 4 ივლისის №665 ნებართვის ბათილად  
ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2019 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ზ. მ-ის, თ. მ-ის,  
ბ. მ-ის და მე. მ-ის სარჩელი (საქმე №3/9172-19) განსჯადობით გან-  
სახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლზე და აღნიშნა, რომ ვინა-

იდან მოსარჩელეები სადაცოდ ხდიან ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ...ში მდებარე უძრავი ნივთზე ს.კ. .... გაცემულ მშენებლობის ნებართვას და მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების საკითხებს, მართლმსაჯულებას ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიკურობისა და ოპერატიულობის, სასამართლოთა შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2019 წლის 18 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, სამშენებლო სამართლდარღვევის საქმეთან დაკავშირებით გამოცემული აქტის კანონიერების შემონმებისას საქართველოს ადმინისტრაციული სამართლდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის პირველი წარწენილის თანახმად, გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, თუმცა, განსახილველი დავის შინაარსი გულისხმობს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის დადგენილების საფუძველზე გამოცემული სანებართვო აქტების კანონიერების შემოზღებას.ზ., თ., პ. და მ. მის სარჩელი არ წარმოადგინს სამშენებლო სამართლდარღვევის საქმესთან დაკავშირებით გამოცემული აქტის კანონიერებაზე დავას და შესაბამისად, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს მოპასუხების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სისიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაბაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ზ. მ-ის, თ. მ-ის, პ. მ-ის და მე. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწერიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწერიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები და ამავე კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისამართს, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ მე-8 მუხლის მიხედვით, წარმოადგენს თბილისი, ...ოს ქუჩა №.... საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 23 ივლისის №1-1/1527 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, მეორე მოპასუხის – სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მისამართია თბილისი, ...ს ქუჩა №... შესაბამისად, საქმეზე მოპასუხებად დასახელებული ორგანოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა, განსჯადობის საერთო წესის დაცვით, მოპასუხეთა ადგილსამყოფლის მიხედვით, უნდა განიხილოს და გადაწყვი-

ტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ.

რაც შეეხება ნივთობრივ განსჯადობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დაგა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის ნინაალმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღმრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნივთობრივი განსჯადობის წესი ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას გამოიყენება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღმრულ სარჩელებზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-715-711(გ-17), 2018 წლის 18 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-629-625(გ-17), 2018 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-613-610(გ-17)). ამდენად, სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხეთა გათვალისწინებით, სადაც შემთხვევაში ნივთობრივი განსჯადობა გამოყენებული ვერ იქნება. შესაბამისად, საქმეზე რამდენიმე სასამართლოს განსჯადობა არ დასტურდება და მოსარჩელეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, განსჯადი სასამართლოს არჩევის შესაძლებლობა ამ შემთხვევაში არ აქვთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. მ-ის, თ. მ-ის, ბ. მ-ის და მე. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. მ-ის, თ. მ-ის, ბ. მ-ის და მე. მ-ის სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექცემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა მოპასუხის – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№გს-87(გ-20)

6 ნოემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ვაჩაძე,  
გ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა მ. ბ-ის სარჩელის განსჯადობის თაობაზე ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

### აღნერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ემ 2019 წლის 5 დეკემბერს სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, დაევალოს მოპასუხეს მ. ბ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული სახლის „...ის“ საავტომობილო გზის რეაბი-

ლიტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიად ცნობა; მიწის ნაკვეთის, ნარგავებისა და შენობა-ნაგებობების აღნერა-შეფასება; კომპენსაციის გაცემა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე და მიიჩნია, რომ სარჩელი განხილულ უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 23 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 და მე-20 მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ საქმე უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უძრავი ნივთი მდებარეობს. სასამართლომ მიუთითა, რომ თავად მოსარჩელებაც სარჩელის განსჯად სასამართლოდ ზესტაფონის რაიონული სასამართლო აარჩია. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიკურობისა და ოპერატიულობის, სასამართლოთა შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად, საქმე განსჯადობით განსახილველად არ უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა ნარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს განსაზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლოს დადგენა უნდა განხორციელდეს განსჯადობის მომწერიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით. მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია განსჯადობის ზოგადი წესები და ამავე კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

განსახილვები შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხის – საქართველოს სააგრძომობილო გზების დეპარტამენტის მისამართს წარმოადგენს თბილისი, ალ. ყაზბეგის № 12. შესაბამისად, დავა, განსჯადობის საერთო წესის დაცვით, მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, უნდა განხილოს და გადაწყვიტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ. გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელის საცხოვრებელი მისამართიც თბილისში მდებარეობს და დავის თბილისში გადაწყვეტა სასამართლოს უფრო ეფექტურ ხელმისაწვდომობასაც უზრუნველყოფს.

რაც შეხება ნივთობრივ განსჯადობას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავსუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინაღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნივთობრი-

ვი განსჯადობის წესი ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვისას გამოყენება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩევებზე (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ბს-715-711(გ-17), 2018 წლის 18 იანვრის განჩინება საქმეზე №ბს-629-625(გ-17), 2018 წლის 24 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-613-610(გ-17)). ამდენად, სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხის გათვალისწინებით, სადაც შემთხვევაში ნივთობრივი განსჯადობა გამოყენებული ვერ იქნება. შესაბამისად, საქმეზე რამდენიმე სასამართლოს განსჯადობა არ დასტურდება და მოსარჩელეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლიდან გამომდინარე, განსჯადი სასამართლოს არჩევის შესაძლებლობა ამ შემთხვევაში არ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ის სარჩელი, მოპასუხის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა მოპასუხის – იურიდიული პირის  
ადგილსამყოფლის მიხედვით და განსჯადობას  
სპეციალური წესი**

**განცილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-281(გ-20)

27 იანვარი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა:ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქარ-  
თველოს სამიერალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3  
ნაწილის საფუძველზე, განიხილა შპს „...ის“ საჩივრის განსჯადო-  
ბის თაობაზე რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის  
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შო-  
რის წარმოშობილი დავა.

**აღნერილობითი ნაწილი:**

შპს „...მა“ 2020 წლის 14 თებერვალს სარჩელით მიმართა თბი-  
ლის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-  
გიას და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარე-  
გულიორებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/  
17 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 2020 წლის 18 თებერვლის განჩინებით შპს „...ის“ სარ-  
ჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად, ხოლო იმავე სასამართლოს 2020  
წლის 20 თებერვლის დადგენილებით საქმე, განსჯადობის წესით,  
განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ად-  
მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, 276-ე  
მუხლებზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული სამარ-  
თალდარღვევის საქმეები განიხილება მათი ჩადენის ადგილის მი-  
ხედვით, შპს „...ის“ საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამარ-  
თლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის გან-  
ჩინებით შპს „...ის“ საჩივრი განსჯადობის საკითხის გადასაწყვე-

ტად გადმოევზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის № 107/17 სადაცო გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონშესაბამისობაც უნდა შემოწმდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნების მიხედვით. სასამართლოს მოსაზრებით, დავა განხილულ უნდა იქნეს სასარჩელო წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიჩნევს, რომ უკანონოდ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვის ნაწილში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის № 107/17 გადაწყვეტილების კანონიერება სასარჩელო წარმოების გზით უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, ხოლო იმავე აქტის კანონიერება 2018 წლის 21 ნოემბრის № 209 და 2019 წლის 22 აპრილის № 212 დადგენილებების მართლზომიერების შესწავლის ნაწილში განხილულ უნდა იქნეს როგორც საჩივარი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვეტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და აცნობოს ამის შესახებ მოსარჩელეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს გან-

საზღვრა ხდება განსჯადობის წესების საფუძველზე. ამასთან, განსჯადი სასამართლო უნდა დადგინდეს განსჯადობის მომწერიგებელი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, დავის თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მხარის მოთხოვნის დეტალურ შესწავლასა და გამოსაყენებელი კანონმდებლობის ზუსტ დადგენას მოითხოვს.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...მა“ 2018 წლის 19 ნოემბერს, რუსთავში, ...ის ქ. №11-ში მდებარე ობიექტში სასმელი წყლის მრიცხველის თვითნებურად მოხსნის საფუძვლით, შპს „რ...ის“ მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №000214 ოქმი და აღურიცხავი წყლის მოხმარების №... აქტი. შედეგად, 2018 წლის 21 ნოემბრის №209 დადგენილებით საწარმოს გამოეცხადა გაფრთხილება. გარდა ამისა, შპს „რ...ს“ გადასახდელად დაერიცხა აღურიცხავი წყლის საფასური 1013,97 ლარის ოდენობით.

ასევე, დადგენილია, რომ შპს „...მა“ 2019 წლის 17 აპრილს შეამოწმა რუსთავში, მე-ში, №10-ში არსებული ობიექტი და სასმელი წყლის უკანონოდ მოხმარების ფაქტზე მითითებით, შპს „რ...ის“ მიმართ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ას №000221 ოქმი და აღურიცხავი წყლის მოხმარების №... აქტი. შედეგად, 2019 წლის 22 აპრილის №212 დადგენილებით შპს „...ს“ შეეფარდა ჯარიმა 15000 ლარის ოდენობით, გარდა ამისა, საწარმოს დაერიცხა აღურიცხავი წყლის საფასური - 950,6 ლარი.

საქმეზე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და წყლის საფასურის დარიცხვა შპს „რ...მა“ სადაც გახადა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 გადაწყვეტილებით შპს „რ...ის“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა „გაფრთხილველის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ შპს „...ის“ 2018 წლის 21 ნოემბრის №209 დადგენილება, ხოლო 2018 წლის 19 ნოემბრის №... აქტით სასმელი წყლის საფასურად 1013,97 ლარის დარიცხვის ნაწილში შპს „რ...ის“ მოთხოვნა განუხილველი დარჩა; ასევე, გაუქმდა „დაჯარიმების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ შპს „...ის“ 2019 წლის 22 აპრილის №212 დადგენილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა კომპანიას; 2019 წლის 17 აპრილის №... აქტით უკანონოდ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურად 950,6 ლარის დარიცხვა კი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ და შპს „...ს“ დაევალა, დარიცხვა განეხორციელებინა კომისიის 2008 წლის 26 ნოემ-

ბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასამელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დაცვით.

საკასაციო სასამართლო, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტილას, ყურადღებას გაამახვილებს მსსზედ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 სადაც გადაწყვეტილება შეეხება შპს „რ...ის“ მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებისა და წყლის უკანონოდ მოხმარებისთვის საფასურის დარიცხვის კანონიერებას. ამრიგად, გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ: 1. უნდა დაადგინოს შპს „რ...ის“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის (სასამელი წყლის უკანონო მოხმარების) ჩადენის ფაქტი და განიხილოს სანქციის დაკისრების კანონიერება; 2. წყლის უკანონო მოხმარების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი, უნდა შეფასდეს ალურიცხავი წყლის მოხმარებისთვის აბონენტისთვის საფასურის განსაზღვრის, გაანგარიშებისა და დაკისრების კანონიერება და სისწორე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საკითხები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით არის მოწესრიგებული და განსხვავებულია მათი განხილვისა და გადაწყვეტის წესები. კერძოდ, შპს „რ...ის“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენა და მისთვის სანქციის დაკისრების კანონიერება მიეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კატეგორიას, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკითხი განხილულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ამრიგად, უშუალოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი შპს „...ის“ პრეტენზია მიჩნეულ უნდა იქნეს საჩივრად.

საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენისას კი, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ითვალისწინებს განსჯადობის სპეციალურ წესს. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>–159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის სა-

ქალაქი სასამართლო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესის გამოყენებისთვის, სახელდობრ, დარღვევის ჩადენის ადგილას საქმის განსახილველად, მნიშვნელოვანია, რომ სადაცო იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული ოქმებისა თუ დადგენილებების კანონიერება და ამ საქმისწარმოება არ იყოს დაწყებული ამავე კოდექსის 116-ე-125-ე, 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლების საფუძველზე. ამრიგად, სადაცო შემთხვევაზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საკითხის შეფასებისას, უნდა გავრცელდეს სწორედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი. ვინაიდან დარღვევის სავარაუდო ჩადენის ადგილი რუსთავია, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-16 მუხლიდან გამომდინარე, საჩივარი უნდა განიხილოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაშ.

რაც შეეხება წყლის საფასურის დარიცხვის საკითხის განხილვას, დარიცხვის საფუძველი გახდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესი“, დარიცხვის აქტი კი არ არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე გამოცემული. ამრიგად, დარიცხვის აქტის კანონიერებისა და წყლის საფასურის გაანაგრიშების სისწორის საკითხთა განხილვა უნდა მოხდეს სასარჩელო წარმოების ფარგლებში, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ შეფასებას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 12.08.106. № 14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგელობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებითი აღსრულების წესების“ 11.12 მუხლი დასაშვებად თვლის დარიცხული თანხის საფუძვლინობაზე მსჯელობას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების

მიუხედავად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-182-179(კს-15)). სასარჩელო წარმოებისას განსჯადობის წესები კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის მოწესრიგებული. დასახელებული კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ვინაიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიული მისამართი, ამავე კომისიის 2020 წლის 28 დეკემბრის №79 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, არის თბილისი, ა. მიცეკვიჩის ქ. №19, სასარჩელო მოთხოვნები უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 გადაწყვეტილების კანონიერება, აღურიცხავი წყლის მოხმარების აქტით უკანონოდ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვის ნაწილში, სასარჩელო წარმოების გზით უნდა განიხილოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, ხოლო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 გადაწყვეტილების კანონიერება 2018 წლის 21 ნოემბრის №209 და 2019 წლის 22 აპრილის №212 დადგენილებების მართლზომიერების შესწავლის ნაწილში განხილულ უნდა იქნეს როგორც საჩივარი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საქასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

- შპს „...ის“ სარჩელი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალ-

მომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, აღურიცხავი წყლის მოხმარების აქტით უკანონოდ მოხმარებული სასმელი წყლის საფასურის დარიცხვის ნაწილში, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. შპს „...ის“ საჩივარი, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის №107/17 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, 2018 წლის 21 ნოემბრის №209 და 2019 წლის 22 აპრილის №212 დადგენილებების კანონიერების შემონმების ნაწილში, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

3. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განსჯაზობა მოპასუხის – იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-978(გ-20)

25 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ა. წულაძე,

ქ. ცინცაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ა. ა-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სოხუმის და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-მა 30.07.2020წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა აფხაზეთის ა/რ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს აღმოსავალეთ საქართველოს ტერიტორიული ორგანოს – აფხაზეთის ა/რ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილთა სტატუსის მაჩიებელ) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის 11.06.2020წ. №26 ოქმის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 03.07.2020წ. №01 ოქმის ბათილად ცნობა. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე სამინისტროსათვის მოსარჩელის ქ. სოხუმში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაბადებიდან – ... წლიდან ცხოვრობს აფხაზეთში, ქ. სოხუმში. მოსარჩელის მამა – ა. ა-იც დაბადებიდან, ... წლიდან დღემდე ცხოვრობს ქ. სოხუმში, ხოლო დედა – რ. ა-ი ... წლიდან 2003 წლამდე ცხოვრობდა ქ. სოხუმში (ამჟამად გარდაცვლილია). მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ქ. სოხუმში 2005 წელს დაამთავრა სკოლა, ხოლო 2012 წელს – საშუალო პროფესიული კოლეჯი. სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არასდროს მიუღია, მასზე გაცემულია მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქის პასპორტი. მოსარჩელის ნათესავები ცხოვრობენ თბილისსა და ახალქალაქში, ა. ა-იც ნახევარი წელია ქ. თბილისში ცხოვრობს და სურს საქართველოს მოქალაქეობის მიღება. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამჟამად მისი საცხოვრებელი ადგილია ქ. სოხუმი. ნახევარი წელია რაც ჩამოვიდა ქ. თბილისში, მიმართა სამოქალაქო რეესტრის საგენტოს საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენის თაობაზე. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქედ მიიჩნევა 1991 წლის 21 დეკემბრამდე დაბადებული პირი, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ან ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 1991 წლის 21 დეკემბრამდე, არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და რომლის მიმართაც არ არსებობს კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული რაიმე გარემოება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინა აგრეთვე მშობლების ქორწინების მოწმობა და სსრკ პასპორტები, საიდანაც დასტურდება, რომ

მშობლებმა ქ. სოხუმში იქორწინეს და იქვე ცხოვრობდნენ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 1991 წელს იყო ორი წლის და მის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა მშობლების საცხოვრებელი ადგილი – ქ. სოხუმი. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო აქტები გამოცემულ იქნა საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი მტკიცებულებების შეუსწავლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.08.2020წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ერთ-ერთ საქმეზე (სუსგ 23.06.2016წ. №პს-325-322(გ-16)) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფელია აგრეთვე ქ. თბილისი. ამასთანავე, საქმის მასალებით უდავოდ დგინდება, რომ დავის მონაწილე მხარეები წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 439-ე მუხლი და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 14.08.2020წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 439-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფ-

ლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამდენად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია ა. ა-ის მიერ, რომელიც არ არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რაც იმთავითებ გამორიცხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობას. საქმეს არ ერთვის მოსარჩელის მოქმედი დევნილის მოწმობის ასლი ან ცნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის იძულებით დატოვების შესახებ. უფრო მეტიც, მოსარჩელე ითხოვს დადასტურდეს მისი ქ. სოხუმში მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯაადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯაადობის თაობაზე, თვლის, რომ ა. ა-ის სარჩელი განსჯაადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემობათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯაადობა) გათვალისწინებული განსჯაადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯაადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი ნარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს ნარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯაადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯაადობაზე და საერთო წესის თანახმად სარჩელი ნარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამ-

ყოფლის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესებს აფხაზეთის სასამართლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადაცო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებუნ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხების სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს განსჯადობის სპეციალურ წესს.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ქ. სოხუმში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურება. ადმინისტრაციული საქმების ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, რაღგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ცალყე არ აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმების ტერიტორიულ განსჯადობას. საერთო წესის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხების სასამართლოს. ამდენად, ტერიტორიული განსჯადობა უმეტესად წყდება მოპასუხების ადგილმდებარეობის მიხედვით. სსკ-ის 439-ე მუხლით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესი, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხავი) ხასიათისაა, რაც გულისხმობს სპეციალური წესის დამდგენი ნორმების უპირატესობის მინიჭებით განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სსკ-

ის 439-ე მუხლი, რომლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადაცო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამდენად, სსკ-ის 439-ე მუხლი აქცენტირებას აღარ ახდენს მოპასუხის ადგილსამყოფელზე და ადგენს, რომ დევნილთა დარღვეული/სადაცოდ გამხდარი უფლებების შესახებ დავას განიხილავენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები, თუმცა იმ შემთხვევაში, უკეთუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არ არის იძულებით გადაადგილებული პირი სსკ-ის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესი არ გამოიყენება. განსახილველ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ა. ა-ს არ აქვს მინიჭებული დევნილის სტატუსი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან მისი იძულებით გადაადგილება არ დასტურდება, რაც გამორიცხავს სსკ-ის 439-ე მუხლის საფუძველზე განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამჟამად მისი საცხოვრებელი ადგილია ქ. სოხუმი, საქმეში არ მოიპოვება დევნილობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი (დევნილის მოწმობა, კომპეტენტური ორგანოს (ცნობა), ამასთანავე, ა. ა-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ქ. სოხუმში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურება. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 16.06.2020წ. №3 დადგენილების 21-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე შეიქმნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო (1-ლი პუნქტი), რომლის უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვრცელდება კონკრეტულ ტერიტორიებზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, კერძოდ, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თელავის, თანახობის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, წალკის და ხაშუ-

რის მუნიციპალიტეტების, „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 08.05.2007წ. №4735 დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, თვითმმართველი ქალაქის – თბილისისა და რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრებ იქულებით გადაადგილებულ პირებზე (მე-2 პუნქტი). ამდენად, 21-ე მუხლის თანახმად, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვრცელდება თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრებ იქულებით გადაადგილებულ პირებზე. აფხაზეთის ა/რ სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ა/რ ადმინისტრაციული ორგანიზაციის დროებით, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

21-ე მუხლისგან განსხვავებით, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილების განმსაზღვრელი მე-6 მუხლი ადგენს, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილება ვრცელდება არა მხოლოდ იქულებით გადაადგილებულ პირებზე, არამედ აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზეც. კერძოდ, ხელის დადგენილების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ვრცელდება აბაშის, აბბოლაურის, ბალდათის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, ონის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ტყიბულის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ჩოხატაურის, ჩხორიონყუს, ცაგერის, წალენჯიხის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხელვაჩაურის, ხობის, ხონისა და ხულოს მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქების – ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის ტერიტორიაზე მცხოვრებ იქულებით გადაადგილებულ პირებზე, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე. 21-ე და მე-6 მუხლების შინაარსის ანალიზიდან დგინდება, რომ ხელის დადგენილის ტერიტორიაზე მცხოვრებ იქულებით გადაადგილებულ პირებზე, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე ვრცელდება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს უფლებამოსილება. ამასთანავე, მოსარ-

ჩელე არ არის საქართველოს მოქალაქე, ქ. სოხუმში მუდმივად ცხოვ-რების ფაქტის დადასტურება მოსარჩელეს სწორედ საქართველოს მოქალაქის სტატუსის მოსაპოვებლად სჭირდება. შესაბამისად, და-ვა სადაცო სამართალურთიერთობაზე არც გაღი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯადია. სა-კასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელისუფლებო ორგანოს უფ-ლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხი საჯარო-სამარ-თლებრივ სფეროს განეკუთვნება, რომლის მიმართ მოქმედებს პრინციპი: „აკრძალულია ის, რაც არ არის დაშვებული“. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელე არ არის საქართველოს ოკუპირებული ტე-რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო მოპა-სუხე ადმინისტრაციული ორგანოა, აღნიშნული გამორიცხავს გან-სჯადობით განსახილველი დავის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოსათვის დაქვემდებარებას. თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მი-თითება, რომ უდავოდ დასტურდება დავის ორივე მხარის დევნი-ლის სტატუსი, არ არის დასაბუთებული და არ ეფუძნება საქმის მასალებს. ამასთანავე, საქალაქო სასამართლოს მიერვე მითითე-ბულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2016წ. №ბა-325-322(გ-16) განჩინებაში სსკ-ის 439-ე მუხლთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განიმარ-ტა, რომ უკეთუ მოსარჩელეს მინიჭებული არ აქვს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, გამოირიცხება მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურიდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობა. ამდენად, დავა განსჯადობით არ არის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიო-ნული სასამართლოს ქვემდებარე.

განსახილველ შემთხვევაში ა. ა-ის სარჩელზე მოპასუხეა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიუ-რი რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-თა სამინისტრო, რომლის იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-კის მთავრობის 31.07.2019წ. №18 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომი-ური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-თა სამინისტროს დებულების“ 1.7 მუხ.). სსკ-ის მე-15 მუხლის მი-ხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს, სარ-ჩელი წარდგენილი უნდა იქნეს იურიდიული პირის ადგილსამყოფ-ლის მიხედვით. ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთ-ვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის

საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაი-სის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტე-რიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესა-ხებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 16.06.2020წ. №3 დადგენილების 11.2 მუხლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასა-მართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თბილისის ად-მინისტრაციული საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასა-მართლო მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად ექ-ვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. ა-ის სარჩელი განსჯადობთ განსახილველად დაექვემდე-ბაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული  
სამართლამდვევის საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1339(გ-20)

29 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
მ. ვაჩაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძ-  
ველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა დავა განსჯადობის  
თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიასა და ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს შო-  
რის.

**აღნერილობითი ნაწილი:**

ს. ხ-ემ 28.07.2020წ. საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სა-  
სამართლოს შსს საპატრულო პოლიციის იმერეთის მთავარი სამ-  
მართველოს მიერ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრე-  
ბის: №ავ..., №ავ..., №ავ..., №ავ..., №ავ..., №ავ... სამართალდარღვე-  
ვის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით. საჩივარში ს. ხ-ის მისა-  
მართად მითითებულია: ქუთაისი, ...ის ქ. №....

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიის 28.07.2020წ. განჩინებით ს. ხ-ის საჩივარი განსჯადობით  
განსახილველად გადაეგზავნა ხარაგაულის მაგისტრატ სასამარ-  
თლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარ-  
ღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას,  
თუმცა ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ად-  
მინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება გან-  
ხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მი-  
ხედვით. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად  
მიიჩნია, რომ სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია  
...ის მოედანი – ნ. ხ-ის ქუჩა, ...ის შემოსავლელი გზა, ...ის გზა, ლან-

ჩხუთის რაიონის სოფ. ....ი. ამასთანავე, საჩივრის ავტორი – ს. ხ-ე რეგისტრირებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ...აში. საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, სა-სამართლომ მიიჩნია, რომ დავა განსჯადობით განსახილველად ექ-ვემდებარება ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოს.

ხარაგაულის მაგისტრატი სასამართლოს 02.12.2020წ. დადგენი-ლებით ს. ხ-ის საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვე-ტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამარ-თლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ალტერნატიული გან-სჯადობისას, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა. ასეთ დროს მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა ცდება საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს. საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ცალსახად ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამ კოდექსის 116-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სამოქალაქო კო-დექსის მე-20 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვ-რებლად ირჩევს, პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრე-ბელი ადგილი, თუმცა პირის საცხოვრებელ ადგილად ის ადგილი მიიჩნევა, სადაც იგი ცხოვრობს. საცხოვრებელი ადგილის მისამარ-თი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რეგისტრაციის ადგილის მისამართს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქუ-თაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში ს. ხ-ის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია ქ. ქუთაისი, ...ის ქ. №.... ასევე საქმეში წარმოდგენილია ს. ხ-ის ქორწინების მოწმობის ასლი და საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანა-გობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ს. ხ-ე მეუღლესთან – ა. ს.თან ერთად, 2019 წლის 07 თებერვლიდან დღემდე ცხოვრობს ქ. ქუთაისში ზემოაღნიშნულ მისამართზე, სა-ჩივარი საქალაქო სასამართლოს წარედგინა 28.07.2020წ.. სასამარ-თლომ მიუთითა, რომ ს. ხ-ის მიმართ ელექტრონული საჯარიმო ქეითრები შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათ-ვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე, რა დროსაც გან-

სჯადობა ალტერნატიულია, სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც დარღვევის ჩადენის, ასევე – დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სწორედ თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებისა და ხარაგაულის მაგისტრატი მოსამართლის დადგენილების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ს. ხ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა, როგორც საგნობრივი, ასევე ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმების წარმოების წესი განისაზღვრება ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ზოგადი წესის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას (261.1 მუხ.), თუმცა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (261.2 მუხ.).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ს. ხ-ის მიმართ შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრები, ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობისათვის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბების (15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, მაგრამ არაუმტეს 40 კმ/სთ-ისა) გამო. ს. ხ-ემ სასამართლოს საჩივრით მიმართა სწორედ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ამდენად, ვინაიდან სანქციის

შეფარდების სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციულ სა-მართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილია, განსჯადობა ალტერნატიულია: ს. ხ-ეს შეეძლო საჩივარი წარედგი-ნა სამართალდარღვევის ჩადენის ან თავისი საცხოვრებელი ადგი-ლის მიხედვით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ საჩივარში ს. ხ-ე უთითებდა, რომ მისი საცხოვრებელი ადგილია ქუთაისი, ...ის ქ. №.... ამასთანავე, საქმეში დაცულია ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ 29.10.2020წ. და 11.11.2020წ. გაცემული ცნობები, რომელთა მიხედვით ს. ხ-ე ქ. ქუთაისში, ...ის ქ. №....-ში ცხოვრობს 2019 წლის 07 თებერვლიდან. აღნიშნულ მისამართზე მაცხოვრებლებს შორის მითითებულია ა. ს.იც, რომელთანაც რეგისტრირებულ ქორწინება-ში ს. ხ-ე იმყოფება 2019 წლის 10 მაისიდან. ამასთანავე, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ს. ხ-ე რეგისტრირებულია მისა-მართზე: ხარაგაული, სოფელი ....ა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია ალტერნატიული განსჯადობისას, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა საჩივრის ავტორის საპროცესო უფლებაა და დაუშვებელია მის მიერ არჩეუ-ლი სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი, თუმცა საჩივრის ავტორს შეუძლია დავის განსახილველად აირჩიოს არა ნებისმიერი სასამართლო, არამედ რამდენიმე განსჯადი სასამართლოდან ერთ-ერთი. ალტერნატიული განსჯადობა პირს არ აღჭურავს არაგან-სჯად სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის უფლებით. გან-სახილველ შემთხვევაში კანონმდებლობა უშვებს ალტერნატივას, კერძოდ, საქმის განხილვას სამართალდარღვევის ჩადენის ადგი-ლას ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშ-ვნელოვანია საცხოვრებელი ადგილის დეფინიციის დადგენა.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებუ-ლი პირის უფლებამოვალეობანი განისაზღვრება სამოქალაქო კო-დექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართვე-ლოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ზინად-რობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქეს პასპორტის გაცე-მის ნესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. ფიზი-კური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, ამასთანავე, ჩანერის სისტემისაგან განსხვავებით, რეგისტრაცია განიხილება არა სანე-ბართვო სისტემად, არამედ რეჟიმად, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყო-ბინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში („საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში

მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (პინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-4 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საცხოვრებლის არჩევის უფლება არ იზღუდება რეგისტრაციის საჭიროებით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო პალატა ცურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.2 მუხლი კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შესაძლებლობას ადგენს დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამდენად, ერთმანეთისაგან გამიჯვნას საჭიროებს საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი. საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა და მოიცავს როგორც რეგისტრაციის ადგილს, ასევე მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, თუმცა დროის კონკრეტულ მონაკვეთში პირი შესაძლებელია რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ საცხოვრებელ ადგილზე, რის გამოც პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა პირის საცხოვრებელი ადგილის უგულებელყოფით, მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის გათვალისწინებით საფრთხეს უქმნის მართლმასაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიკურობისა და ოპერატორულობის პრინციპებს. ამასთანავე, საკასაციო პალატა ცურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება პირის საცხოვრებელ ადგილს და არა ადგილსამყოფელს. საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, ადგილსამყოფელი დროებით სარგებლობაშია და მას პირი ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად არ ირჩევს. სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება, თუ მას საცხოვრებელი ადგილი არ აქვს (სსკ-ის 15.2 მუხ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსჯადობის საკითხისათვის გადამზუდებულია არა რეგისტრაციის ადგილი და არა ადგილსამყოფელი ან რეგისტრაციის ადგილი.

საქმის მასალებით, მათ შორის ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ 29.10.2020წ. და 11.11.2020წ. გაცემული ცნობებით, მაცხოვრებელთა სიით, ქორნინების მოწმობით და ს. ხ-ის ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ს. ხ-ე ცხოვრობს ქ. ქუთაისში. ამასთანავე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საჩიტრის წარდგენით ს. ხ-ემ განსჯად სასამართლოდ აირჩია სასამართლო სწორედ თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 16.06.2020წ. №3 დადგენილებით განსაზღვრულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, რომლის მიხედვით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ქ. ქუთაისის, ბალდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით (23.2 მუხ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ს. ხ-ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რაც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიკურობასა და ოპერატიულობას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე და 399-ე მუხლებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით და:

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ხ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა ადგინისტრაციული ორგანოს ადგილობრივი მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-160(გ-21)

22 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 8 თებერვალს გ. ც-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

მოსარჩელემ გ. ც-ას ნაწილში 2012 წლის 22 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ნ. ფ-ას შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 10 თებერვლის განჩინებით გ. ც-ას სარჩელი, მოპასუხების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე, გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი ნარედებინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საერთო განსჯადობა). სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულია განსაკუთრებული განსჯადობის წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით, ექსკლუზიური (გამომრიცხველი) ხა-

სიათისაა. მართალია, მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ კონკრეტული საქმის ტერიტორიული განსჯადობა, მაგრამ ამასთან, მათ არ აქვთ უფლება, ურთიერთშეთანხმებით შეცვალონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის წესები. მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ ტერიტორიული განსჯადობის მხოლოდ ორი ქვესახე – საერთო და აღტერნატიული განსჯადობა, მაგრამ მათ არ აქვთ განსაკუთრებული და გვარეობითი განსჯადობის შეცვლის უფლება ურთიერთშეთანხმებით, ვინაიდან განსჯადობის ეს სახეები კანონით პირდაპირ და უპირობოდაა განსაზღვრული და დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას უკავშირდება და მისგან გამომდინარეობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად კი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო (განსაკუთრებული განსჯადობა).

სადაც ხელშეკრულების თანახმად, 2012 წელს, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, წარმოდგენილი პრივატიზების დეპარტამენტის ...ის მომსახურების ცენტრის დამხმარე მოსამასახურეების (ქატეგორია) მოვალეობის შემსრულებლის – გ. ჩ-ის სახით და, მეორე მხრივ, ფიზიკურ პირს – ნ. ფ-ას შორის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 17 სექტემბრის №17/09/01 განკარგულების საფუძველზე, დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, „გამყიდველმა“ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, „მყიდველს“ გადასცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. ფოთი, ...ი, ...ა, შენობა №6ა. ამგვარი მოცემულობის ფარგლებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავის ხასიათს ატარებდა და სასამართლო განსჯადობაც ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილის (ქ. ფოთი) მიხედვით უნდა განსაზღვრულყო.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმე-

დო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განი-საზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტო-რიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. დასახელებული გადაწ-ყვეტილების მე-40 მუხლის მიხედვით, ფოთის საქალაქო სასამარ-თლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციუ-ლი საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქა-ლაქო სასამართლომ გ. ც-ას სარჩელი განსჯადობით განსახილვე-ლად გადაუგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში, დაცული იქნებოდა მართლმსა-ჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, საქმის სწრაფად განხილ-ვისა და გადაწყვეტის, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დიგერსიფიკაციის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბა-რი განაწილების პრინციპი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 22 თებერვლის გან-ჩინებით გ. ც-ას სარჩელი, მოპასუხების – სსიპ სახელმწიფო ქო-ნების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის მი-მართ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე, გადაეგზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რა-ონულ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღ-ლესი საბჭოს 2009 წლის 15 სექტემბრის №1/222 გადაწყვეტილე-ბით ცვლილება შევიდა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შე-სახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში და აფხაზეთის ავტო-ნომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღ-დგენამდე შეიქმნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სა-სამართლო. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამარ-თლოს უფლებამოსილება საპროცესო კანონმდებლობით დადგე-ნილი წესით ვრცელდება ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალ-ციხის, ახმეტის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურ-ჯაანის, დედოფლისნიკოს, დმბნისის, დუშეთის, თეთრიწყარის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, ნინომშინდის, საგარეჯოს, სილნალის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარ-

ლის, წალეისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების, „დროებითი ად-მინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ სა-ქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექ-მნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, თვითმმართველი ქალაქების – თბილისისა და რუსთავის ტერიტო-რიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებზე. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს შემადგენლობა გა-ნისაზღვრა 2 მოსამართლით. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაი-ონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განისაზღვრა ქ. თბილი-სი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, მოცემულ შემ-თხვევაში, სარჩელის მიხედვით ირკვეოდა, რომ გ. ც-ამ 2020 წლის ოქტომბერში განცხადებით მიმართა სსიპ დევნილთა, ეკომიგრან-ტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და მო-ითხოვა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს ერთმევა უფლება, ისარგებლოს „დევ-ნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონის-ძიებების ფარგლებში“ არსებული პროგრამებით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის საც-ხოვრებელი ადგილია ქ. თბილისი, ...ო, მე-5 მ/რ, კორპ. №10, ბ. №11. შესაბამისად, სარჩელი წარმოადგენს არა ფოთის, არამედ – სოხუ-მისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განსჯადს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით გ. ც-ას სარჩელი, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქარ-თველოს პრეზიდენტის მიმართ, განსჯადობის საკითხის გადასაწ-ყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლზე, რომლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რეს-პუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფ-ლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტე-რესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მი-ხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თა-ვის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგი-ლებული პირია.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია საქართველოს პრეზიდენტისა და იურიდიული პირის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომე-

ლიც წარმოადგენს საჯარო სამართლის სუბიექტს და რომლის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, რაც იმთავითვე გამორიცხავს სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა ფოთის საქალაქო სასამართლოს და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ც-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარდგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავა არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება არსებით მნიშვნელობას იძენს დავის განხილვაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისათვის, რამდენადაც განსჯადი სასამართლოს დადგენა სწორედ სარჩელის ზუსტ, მოსარჩელის მიზნის შესაბამის განსაზღვრულობას უკავშირდება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ასეთ დროს არსებითია, მხედველობაში იქნეს მიღებული მოსარჩელის ინტერესი, მის მიერ დავის ფარგლებში მისაღწევი მიზანი და შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა სწორედ ზემოხსენებულ პირობათა გარკვევა-დაზუსტების შემდგომ განხილულდეს.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, მოსარჩელემ ფორმალურად მხოლოდ გ. ც-ას ნაწილში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ნ. ფ-ას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, მოპასუხედ ასახელებს საქართველოს პრეზიდენტს. ამასთან, მოსარჩელე მიუთითებს როგორც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაზე, ასევე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილზე, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში“ საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ მოცემული საქმე განხილულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ადგილს მიხედვით. არამედ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისთვის გასათვალისწინებელია მოსარჩევის რეალური ინტერესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაქქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხსენებული დანაწესის მიხედვით, მართალია, მოსარჩელე თავად ირჩევს სარჩელის სახეს, რომელიც მას საკუთარი მიზნის მიღწევისათვის ესაჭიროება, აგრეთვე თავადვე განსაზღვრავს დავის საგანს, სარჩელის შინაარსსა და მოცულობას და სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობასა და, მეტიც, ვალდებულებას, დაადგინოს სარჩელის აღმერის მიზანი და ხსენებული მიზნის მხედველობაში მიღებით დაეხმაროს მოსარჩელეს მოთხოვნის ფორმულირებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც მოთხოვნა საჭიროებს დაზუსტებას, მოცემული დავის განსჯადობის საკითხი არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მსგავსი კატეგორიის დაგებში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების განხილვა ხდება მის საფუძველთან – პრეზიდენტის მიერ გამოცემულ განკარგულებასთან ერთად. ამასთან, გასათვალისწინებელია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ნ. ფ-ას შორის 2012 წლის 22 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი, რომელიც შეიცავს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადაცო საკითხების საერთო განსჯადობის წესების დაცვით გადაწყვეტის შესახებ. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ც-ას სარჩელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. განჩინება საქმეზე

№189-186(გ-15)), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლს, მოცემული ნორმა ცალსახად ადგენს, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადაც უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამდენად, მოცემული ნორმა, დავის განსჯადობის გადასაწყვეტად არ წარმოადგენს რელევანტურს, ვინაიდან მოპასუხები არ წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ც-ას სარჩელი, მოპასუხების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შემაკავებელი ორგანიზაციის გაუქმების თაობაზე განსჯადობა

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-215(გ-21)

22 აპრილი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 4 მარტს გ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალდათის რაიონული სამმართველოს მიმართ და მესამე პირის – ნ. ჭ-ის მონაწილეობით.

მოსარჩელემ 2021 წლის 2 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალდათის რაიონული სამმართველოს მიერ გ. მ-ის მიმართ გაცემული №000196 შემაკავებელი ორდერის გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 4 მარტის განჩინებით გ. მ-ის სარჩელი, მოპასუხე – ბალდათის რაიონული სამმართველოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>14</sup>.2 მუხლზე, რომლის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბალდათის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ, 2021 წლის 2 მარტს გ. მ-ის მიმართ გაცემულ იქნა №000196 შემაკავებელი ორდერი. მოსარჩელემ მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა წყალტუბოს რაიონი, სოფ. ...., ...

...ის დასახლება, თუმცა სარჩელს არ ერთვის აღნიშნულის დამა-დასტურებელი მტკიცებულება.

სასამართლოს მითითებით, ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან დასტურდება, რომ 6. ჭ-ის (პ/ნ ...) რეგისტრაციის მისამართია ..., სოფ. .... ი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, 26-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ გ. მ-ის სარჩელი, მოპასუხე – ბალდათის რაიონული სამმართველოს მიმართ, მესამე პირის – ნ. ჭ-ის მონაწილეობით, განსჯადობით გან-სახილველად უნდა გადაგზავნოდა სამტრედიის რაიონულ სასამარ-თლოს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 მარტის განჩინებით გ. მ-ის სარჩელი, შსს ბალდათის რაიონული სამმარ-თველოსა და ნ. ჭ-ის მიმართ, შემაკავებელი ორდერის გაუქმების მოთხოვნით, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გად-მოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 21<sup>14</sup>.2 მუხლზე, რომლის თანახმად, შემაკავე-ბელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირვე-ლი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგი-ლის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მითითებით, განსახილ-ველ შემთხვევაში, მსხვერპლის – ნ. ჭ-ის მისამართად სარჩელში მითითებული იყო ზყალტუბოს რ-ნი, სოფ. .... ის დასახლება, თუმ-ცა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საქმის სამტრედიის რაიო-ნულ სასამართლოში განსჯადობით განსახილველად გადაგზავნის საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ სარჩელს არ ერთვოდა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო ამომრჩე-ველთა ერთიანი სიიდან დასტურდებოდა, რომ 6. ჭ-ის მისამართი იყო ვანი, სოფ. .... ი.

სასამართლომ არ გაიზიარა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ 6. ჭ-ის რეგისტრაციის მისამართის მიხედვით უნ-და გადაწყვეტილიყო განსჯადობის საკითხი, ვინაიდან საქართვე-ლოს სამოქალაქო კოდექსის 20.1 მუხლის მიხედვით, ფიზიკური პი-რის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვე-ულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. მოცემულ შემთხვევაში, სარ-ჩელში მსხვერპლის მისამართად გარკვევით იყო მითითებული

წყალტუბოს რ-ნი, სოფ. ...., ...-ის დასახლება, რომლის უარმყოფელი რაიმე მტკიცებულება სასამართლოს არ მოუპოვებია. სასამართლოს განმარტებით, კანონის მიხედვით, მოსარჩელეს არ მოეთხოვება წარადგინოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი მტკიცებულება, ასეთად კი ვერ მიიჩნევა პირის რეგისტრაციის მისამართი.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს განმარტებით, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ სამტრედიის რაიონულ სასამართლოში საქმის გადაგზავნამდე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არ გამოუკვლევია, რეალურად ცხოვრობდა თუ არა სარჩელში მითითებულ მისამართზე მსხვერპლი ნ. ჭ-ი, რომლის უპირატესი უფლებაცაა, საქმე განხილულ იქნეს მიის საცხოვრებელი (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) ადგილის მიხედვით და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

გარდა აღნიშნულისა, სამტრედიის რაიონული სასამართლო მობილური ტელეფონის ნომერზე დაუკავშირდა მსხვერპლს – ნ. ჭ-ს, რომელმაც განუმარტა, რომ ნამდვილად ცხოვრობდა წყალტუბოს რაიონში, სოფ. ...ში, ...-ის დასახლებაში.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მიის საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეროვნული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დაგა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივი, არამედ ტერიტო-

რიული განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებულია 2021 წლის 2 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალდათის რაიონული სამმართველოს მიერ გ. მ-ის მიმართ გაცემული №0001196 შემაკავებელი ორდერი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>14.2</sup> მუხლის თანახმად, შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე სარჩელს განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ კოდექსით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის შესახებ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ადგილის დეფინიციის დადგენა.

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლებამოვალეობანი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩეცულებით საცხოვრებლად ირჩევს, ამასთანავე, ჩანერის სისტემისაგან განსხვავებით, რეგისტრაცია განიხილება არა სანებართვო სისტემად, არამედ რეჟიმად, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში („საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მე-4 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საცხოვრებლის არჩევის უფლება არ იზღუდება რეგისტრაციის საჭიროებით, რეგისტრაციის უფლება აღნარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 21<sup>14.2</sup> მუხლით გათვალისწინებული საქმეების განხილვის შესაძლებლობას ადგენს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის და არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. ამდენად, ერთმანეთისაგან გამიჯვნას საჭირო-

ებს საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი. საცხოვრებელი ადგილი უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა და მოიცავს როგორც რეგისტრაციის ადგილს, ასევე მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, თუმცა დროის კონკრეტულ მონაკვეთში პირი შესაძლებელია რეგისტრირებული იყოს მხოლოდ ერთ საცხოვრებელ ადგილზე, როს გამოც პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა პირის საცხოვრებელი ადგილის უგულებელყოფით, მხოლოდ რეგისტრაციის ადგილის გათვალისწინებით, საფრთხეს უქმნის მართლმასაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობისა და ოპერატიულობის პრინციპებს. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება პირის საცხოვრებელ ადგილს და არა ადგილსამყოფელს. საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, ადგილსამყოფელი დროებით სარგებლობაშია და მას პირი ჩევულებრივ საცხოვრებელ ადგილად არ ირჩევს. სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება, თუ მას საცხოვრებელი ადგილი არ აქვს (სსკ-ის 15.2 მუხ.). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსჯადობის საკითხისათვის გადამწყვეტია პირის საცხოვრებელი ადგილი და არა ადგილსამყოფელი ან რეგისტრაციის ადგილი. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.04.2021წ. №ბს-1339(გ-20) განჩინება).

დადგენილია, რომ მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში 6. ჭის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა წყალტუბოს რაიონი, სოფ. ...., ....ის დასახლება. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამტკრედიის რაიონულ სასამართლოს თავად 6. ჭ-მა, სატელეფონო ზარის მეშვეობით, დაუდასტურა, რომ იგი ნამდვილად ცხოვრობს წყალტუბოს რაიონის სოფ. ....ში, ....ის დასახლებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაზე, რომლის 23.2 მუხლის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით**

#### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-479(კ-20)

22 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

2021 წლის 29 აპრილს თ. მ-შა და ე. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ეკონომი-

კისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს გზების დეპარტამენტისთვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №1-1/149 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 მაისის განჩინებით თ. მ-სა და ე. კ-ძის სარჩელი, მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის 18.1 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილიქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის ხსნებული წესი საქმის განსჯადობას დამოკიდებულს არ ხდის მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე – ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმ-

ყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადაც მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ არგვეთაში. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა უნდა გადაეწყვიტა განსჯად სასამართლოს უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაზე, რომლის შესაბამისად, განისაზღვრება რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, ალნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე დადგენილების 9.2 მუხლის მიხედვით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ზესტაფონის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოებში საქმის ნარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მოძიებული ინფორმაციით დადგინდა, რომ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, გასაჩივრებული ბრძანების საფუძველზე, თ. მ-სა და ე. კ-ძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე, განცხადებით მიმართული ჰქონდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოსთვის. ამასთან, საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საქმეთა ერთობლივი ან ერთი სასამართლოს მიერ განხილვა ხელს შეუწყობდა საქმის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას.

ამგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ. სასამართლოს მოსაზრებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა, როგორც მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიოულობას, ასევე, მეორე მხრივ, დაცული იქნებოდა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ

შემთხვევაში განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამოსავალს წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო სწორედ იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამიქედო ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ქონება.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 მაისის განჩინებით თ. მ-სა და ე. კ-ძის სარჩელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №1-1/149 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ნივთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეები ითხოვენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის №1-1/149 ბრძანების ბათილად ცნობას. გასაჩივრებული ბრძანებით კი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით გამომდინარე, მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება თ. მ-სა და ე. კ-ძის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებზე. რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება. ცალკე აღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კი, დამოუკიდებლად არ ცვლის სადავო მინის ნაკვეთის მესაკუთრეს, შესაბამისად, მოცე-

მული დავის არსის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მასზე ვერ გავრცელდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის დანაწესი (ნივთობრივი განსჯადობა). სადაც ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით განისაზღვრა მისი გასაჩივრების წესი და ვადა, კერძოდ, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ სწორად აირჩია განსჯადი სასამართლო და სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მითითებული გარემოებებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, ასევე განსჯადობის წესების მიზნების გათვალისწინებით – უზრუნველყოფილ იქნეს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობა, პროცესის ეკონომიურობა და ოპერატიულობა – რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განსჯადობით არ ექვემდებარებოდა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ თ. მ-სა და ე. კ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციისაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეპრობული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის

წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობას-თან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივი, არამედ ტერიტო-რიული განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამარ-თლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწი-ნებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არა-მედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კა-ტერიტორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვ-ნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტო-რიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტო-რიაზე სამართალურო იერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტი-ლებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორი-ულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარ-ჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარ-ჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მი-მართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარ-ჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამარ-თლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ად-მინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები ითხოვენ საქართვე-ლოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 12 პრილის № 1-1/149 ბრძანების ბათილად ცნობას. გასაჩივ-რებული ბრძანებით E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპა-ნი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) გზის მშენებლობის პროექტი ჩაით-ვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექ-ტად და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრას-ტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ – სახელმწი-ფო საქვეუწყებო დაწესებულებას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება პროექ-ტის არეალში მოქცეულ თ. მ-სა და ე. კ-ძის საკუთრებაში რეგის-ტრირებულ უძრავ ქონებებზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგე-  
ნილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სა-  
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯა-  
დობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავ-  
ში შემაგალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯა-  
დობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის  
მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საც-  
ხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პი-  
რის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-  
სამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ  
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის  
პირველი ნაწილი თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუ-  
ნებით არის ზოგადი და ამავე დროს იმპერატიული ნორმა, რომე-  
ლიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად საერთო  
სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამ-  
ყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზ-  
ღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ  
შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია  
დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ზესტაფონის რაიონული სა-  
სამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის გასაჩივრებული ბრძანებით გა-  
ნისაზღვრა მხოლოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროები-  
სათვის ექსპროპრიაციის გარდაუვალობა და სუბიექტი, რომელ-  
საც შეიძლება მიენიჭოს ექსპროპრიაციის უფლება. ცალკე აღებუ-  
ლი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კი, დამოუკიდებლად  
არ ცვლის სადაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, შესაბამისად, მო-  
ცემული დავის არსის გათვალისწინებით, მასზე ვერ გავრცელდე-  
ბა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის დანაწესი (ნივ-  
თობრივი განსჯადობა), რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩ-  
ნებს, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა  
დაექვემდებაროს სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მი-  
ხედვით.

ამასთან, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გასათვალის-  
წინებულია სადაც ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნ-  
ქტი, რომლის თანახმად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გა-  
მოქვეყნების ან ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის გადა-  
ში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა  
კოლეგიაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების მე-11 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვროს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. მ-სა და ე. კ-ძის სარჩელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა ადგინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№პს-595(გ-21)

30 სექტემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. აბუსერიძე,  
გ. სტურუა

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2021 წლის 5 აპრილს ნ. ბ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ საფუძველზე ამავე სამინისტროს/მინისტრის 18.04.2018წ. №1306 ბრძანებით დაკმაყოფილებული პირის – გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ნ. ბ-ის ცნობა და მოპასუხებისთვის გ. კ-ის უფლებამონაცვლე პირთან – ნ. ბ-თან ქ. გორში, ... ქ. №..., კორპ. №..., 1-ლი სადარბაზო, მე-... სართული, ოთახი №19-ში არსებულ ერთ ოთახიან ბინაზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების გავლით პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 აპრილის განჩინებით ნ. ბ-ის სარჩელი, მოპასუხების – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად,

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. ამავე თავის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარეგონება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე თავის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საქალაქო სასამართლო აღნიშნა, რომ განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე – ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მითითებით, სადაცო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს გორში, ... ქ. № 1, კორპ. №..., 1-ლი სადარბაზო, მე-... სართული, ოთახი № 19-ში. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 6. ბ-ის სარჩელი, მოპასუხების – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგ ზავნოდა გორის რაიონულ სასამართლოს, უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით.

გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ მოითხოვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-  
ადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს  
2018 წლის 18 აპრილის №1306 ბრძანებით დაკმაყოფილებული პი-  
რის – გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ნ. ბ-ის ცნობა და ნ. ბ-თვის ქ.  
გორში, ... ქ. №1, კორპ. №..., 1-ლი სადარბაზზო, მე-... სართული, ოთა-  
ხი №19-ში არსებულ ერთ ოთახიან ბინაზე, „სახელმწიფო ქონების  
შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების  
გავლით, მასზე საკუთრების უფლების მინიჭება.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი შეიცავს ტერიტორი-  
ული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდა-  
პირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედ-  
გინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, სადაცო აქტის ბათილად  
ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალდებულების შესახებ  
განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ  
რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადაცო უძრა-  
ვი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ორგანოების ადგილსამყოფ-  
ლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქ-  
მედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ უძრავი ქონების მისამარ-  
თის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო განსჯადობის საკითხი, ვი-  
ნაიდან მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის,  
არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყო-  
ფლს (ქალაქი თბილისი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნ საქ-  
მის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-  
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამარ-  
თლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდე-  
გაც მივიდა დასკვნამდე, რომ ნ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით გან-  
სახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-  
ულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტი-  
ტუციის 31.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხო-  
ლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება  
მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევ-  
როპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლე-

ბას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგრმარეობს პრინციპიში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი წარმოდგენილია მოპასუხების – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2018 წლის 18 აპრილის №1306 ბრძანებით დაკრძალული პირის – გ. კ-ის უფლებამონაცვლედ ნ. ბ-ის ცნობას და ნ. ბ-თვის ქ. გორში, ... ქ. №1, კორპ. №... 1-ლი სადარბაზო, მე-... სართული, ოთახი №19-ში არსებულ ერთ ოთახიან ბინაზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების გავლით, მასზე საკუთრების უფლების მინიჭებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა პრივატიზების კანონიერება, არამედ უკვე განხორციელებული პრივატიზე-

ბის შემდგომ უფლებამონაცვლეობის საკითხი, შესაბამისად, სა-დავოა არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, არამედ მოპა-სუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალურ ადმინის-ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რის გამოც ადგილი არ აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გან-საზღვრულ ნივთობრივ განსჯადობას.

მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მოპასუხე ადმი-ნისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელს, შესაბამისად, ამ შემთხვევაში განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნ-და გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსაზილველად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუ-თითებს, რომ სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხეების – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნ-ველყოფის სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ნ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდება-როს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. 6. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდე-ბაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლო-ოა და არ საჩივრდება.

## 4. განსჯადობა აღმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეებზე

### განსჯადობა აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩაღენის აღგილის მიხედვით

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-103(გ-21)

22 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემაღენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ა. წულაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2020 წლის 27 აგვისტოს გ. ნ-ემ საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს მიმართ.

საჩივრის ავტორმა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2020 წლის 25 აგვისტო... სამართლდარღვევის ოქმის გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 27 აგვისტოს განხინებით გ. ნ-ის საჩივარი განსჯადობით გადაეგზავნა ბალდათის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლზე, რომლის თანახმად, აღმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. ამავე კოდექსის 261.2 მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი იყო ქარელი.

გ. ნ-ემ საჩივარში საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ბალდათი, სოფ. .... ამდენად, საჩივარი, 2020 წლის 25 აგვისტოს სამართალ-

დარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე, განსჯადობით უნდა გა-  
დაგზავნოდა ბალდათის მაგისტრატ სასამართლოს შესაძლო სამარ-  
თალდამრღვევის საცხოვრებელი (რეგისტრაციის) ადგილის მიხედ-  
ვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთო წესის მიხედვით, თუ კა-  
ნონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქ-  
ცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, სადაც განხორციელდა სამართალ-  
დარღვევა ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით  
(116-125-ე მუხლები).

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმე-  
დო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის  
შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის  
9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის 35-ე მუხ-  
ლის თანახმად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტე-  
რიტორია განისაზღვრა ბალდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუ-  
ნიციპალიტეტების აღმინისტრაციული საზღვრებით.

სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ნ-ე  
ცხოვრობს ბალდათის რაიონის სოფ. დიმში, საჩივრის განხილვა უნ-  
და მომხდარიყო მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ-ის საჩივარი სამარ-  
თალდარღვევის ოქმის გაუქმების თაობაზე განსჯადობით უნდა  
გადაგზავნოდა ბალდათის მაგისტრატ სასამართლოს სამართალ-  
დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 4 თებერვლის  
განჩინებით გ. ნ-ის საჩივარი, მონინააღმდეგე მხარის – შსს საპატ-  
რულო პოლიციის დეპარტატმენტის შიდა ქართლის მთავარი სამმარ-  
თველოს 2020 წლის 25 აგვისტოს №... სამართალდარღვევის ოქმის  
გაუქმების თაობაზე, საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობის შე-  
სახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაზყვეტად გადმოეგზავ-  
ნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს აღმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატას.

ბალდათის მაგისტრატმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს  
აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხ-  
ლზე, რომელიც ცალსახად ადგენს, რომ აღმინისტრაციული სამარ-  
თალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. ამავე  
კოდექსის 261.2 მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე  
მუხლებით გათვალისწინებული ადგინისტრაციულ სამართალდარ-  
ღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვე-  
ვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დასახელებული ნორმის  
ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ აღმინის-

ტრაციული სამართალდარღვევის საქმეები განიხილება მისი ჩა-დენის ადგილის მიხედვით, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი პირის მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას. სასამართლოს მითითებით, გ. ნ-ის მიმართ 2020 წლის 25 აგვისტოს საჯარიმო ქვითარი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31.3 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქარელი, ხოლო საჩივრის ავტორის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ბალდათი, ხოჭ. ....

სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობა 118-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას – საქმის განხილვა შესაძლებელია, როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე – დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განხილვა ხდება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით. ამავდროულად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორმა დავის გადასაწყვეტად მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც საჩივარი გადააგზავნა სასამართლოში საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 4 თებერვლის სხდომაზე მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის უზენაესი სასამართლოსათვის გადაგზავნის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ გ. ნ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს განსჯად ქარელის მაგისტრატ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ეპ-როპული კონვენცია კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საქართველო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიულ განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დაგას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლა). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, გ. ნ-ემ საჩივარი წარადგინა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამართველოს 2020 წლის 25 აგვისტოს №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით. დადგენილია, რომ საჩივრის ავტორი დაჯარიმდა 250 ლარით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>–159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. 261.2 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, ვინაიდან სანქციის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლია, მოცემულ ნაწილში განსჯადობა ალტერნატიულია, შესაბამისად, საჩივრის ავტორს შეეძლო საჩივრი წარედგინა სამართალდარღვევის ჩადენის ან თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაც შეეხება ნარჩენების მართვის კოდექსს, მოცემული კოდექსის 47.1 მუხლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება ამ კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით. განსახილველ შემთხვევაში, ნარჩენების მართვის კოდექსი არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით. ამდენად, გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისის არსებობა არ დასტურდება.

მართალია, სანქციის შეფარდების ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლი ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, თუმცა ნარჩენების მართვის კოდექსთან მიმართებით ადგილი აქვს

სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლი-სების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების გან-საზღვრისას კი, განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენი-ჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. საქმის მასალე-ბით უდავოდ დგინდება, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადე-ნილ იქნა ქარელში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბ-ჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაზე, რომლის 25.4 მუხ-ლის მიხედვით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში მაგისტრატი მო-სამართლის რაოდენობა განისაზღვროს 1 მოსამართლით, რომე-ლიც უფლებამოსილებას განახორციელებს ქარელისა და თიღვის მუნიციპალიტეტებში.

შესაბამისად, ვინაიდან შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქარელში, მოცემული დავა ტერიტორიულად ქარელის მაგის-ტრატი სასამართლოს ქვემდებარება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შო-რის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყო-ფას, პროცესის ეკონომიკურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრა-ციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ნ-ის საჩი-ვარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გან-სჯად ქარელის მაგისტრატ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ნ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდე-

- ბაროს განსჯად ქარელის მაგისტრატ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
  3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-386(გ-21)

6 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ა. მ-ის საჩივრის განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

#### აღნერილობითი ნაწილი:

ა. მ-ე 2021 წლის 14 აპრილს საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს №...სამართლდარღვევის ოქმისა და ამავე სამინისტროს იმერეთის, რაჭალებზუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2020 წლის 6 მარტის №605229 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოიხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით ა. მ-ის საჩივრი, განსჯადობის ნესით, განსახილველად გადაეგზავნა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე-ები განიხილება მათი ჩადენის ადგილის მიხედვით, ხოლო ამ კო-დექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქ-ნეს აგრეთვე დამტკიცების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვი-ნაიდან საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია ქობულეთი, სოფელი ...ი, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნისათვის უფრო მოსახერხებელი იქნებოდა საჩივრის მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განხილვა და ა. მ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამო-სილ სასამართლოს ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო წარმო-ადგენდა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოს მაგისტრატი სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის განჩინე-ბით ა. მ-ის საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გად-მოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩე-ვის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთ-ვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, რამდენიმე სასამართლოს განსჯა-დობის შემთხვევაში, განსჯადი სასამართლის არჩევანის უფლება მოსარჩელეს ენიჭება და ასეთ შემთხვევევაში, მოსარჩელის მიერ არ-ჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. საჯარიმო ქვითარი ა. მ-ის მიმართ შედგენილია საქართველოს ად-მინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, ხოლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილად მითითებულია ქ. წყალტუბო. ვინაიდან კანონმდებლობა სენებულ მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატი-ულ განსჯადობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. მ-ე უფლებამო-სილი იყო, გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიე-მართა სასამართლოსთვის როგორც მისი საცხოვრებელი ადგილის, ისე სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. შესაბამი-სად, სასამართლოს მოსაზრებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს და გადაწყვიტოს საჩივარი. ამას-თან, სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ ა. მ-ის საჩივარი, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის შესაბამისად, განსახილ-ველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიმწევს, რომ ა. მ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის უფლება. კონსტიტუციის ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც დადგენილია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ პირი არაგანსჯად სასამართლოში წარადგენს სარჩელს, სასამართლომ სარჩელი განსჯად სასამართლოს უნდა გადაუგზავნოს და ამის შესახებ აცნობოს მოსარჩელეს. განსჯადობის ზოგადი წესები კი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის მე-15 მუხლიც ადგენს საერთო განსჯადობის წესს და განსაზღვრავს, რომ სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი განსჯადობის ზოგადი წესებისა, სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტული დავების მიმართ განსაზღვრულია განსჯადობის მომწესრიგებელი სპეციალური წესები. სპეციალური და ზოგადი წესების კოლიზიისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს სწორედ სპეციალურ წესს და მის საფუძველზე მოხდეს განსჯადი სასამართლოს დადგენის განსჯადობის ასეთ, ერთ-ერთ სპეციალურ წესს ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე

მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>–159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამრიგად, თუკი სადაცოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლების საფუძველზე შედგენილი ოქმებისა თუ დადგენილებების კანონიერება, კანონმდებლობა ადგენს ალტერნატიულ განსჯადობას – საქმე შეიძლება განხილულ იქნეს დარღვევის ჩადენის ადგილის, ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად კი, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეუუთვნის მოსარჩევეს.

განსახილვებ შემთხვევაში, ა. მ-ეს სასამართლოში გასაჩივრებული აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი და სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად დაარღვია მან საგზაო მოძრაობის წესები. შესაბამისად, სადაცო საკითხიდან გამომდინარე, წარმოიშობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული განსჯადობა, რომლის დროსაც სასამართლოს არჩევის უფლება სწორედ მოსარჩევეს/საჩივრის ავტორს ენიჭება.

ასეთ პირობებში კი, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ, მართალია, საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია ქობულეთი, თუმცა სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ქალაქი წყალტუბოა, ხოლო თავად საჩივრის ავტორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. ამდენად, ა. მ-ემ საქმეზე განსჯადი სასამართლო სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით შეარჩია. სწორედ ამიტომ, სადაცო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით უნდა იქნეს განხილული.

რაც შეეხება სადაცო სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული სასამართლოს დადგენას, „რაონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის საპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების 23-ე

მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის, ბაღდათის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრატი მოსამართლების რაოდენობა განისაზღვრა 3 მოსამართლით, რომელთაგან ერთი მაგისტრატი მოსამართლე უფლებამოსილების წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ახორციელებს. ამდენად, ვინაიდან სადაც ტერიტორიაზე უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირველი ინსტანციით განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერბის თაობაზე დავებს, ტერიტორიული განსჯადობის წესების გათვალისწინებით, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლო წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს №...სამართალდარღვევის ოქმისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2020 წლის 6 მარტის №605229 გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი უნდა განხილოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატმა სასამართლომ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 და 26-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი, მე-2, 261-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. მ-ის საჩივრი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **5. საქმის განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა შორის კლასიკური დაცვის არარსეპობის გამო სარჩევის უკან დაპრუნება**

**ორივა მოძავე სასამართლოების დასაბუთებულ  
შეხედულების არარსეპობის გამო საქმის უკან  
დაპრუნება**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-553(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვინაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...მა“ 2019 წლის 19 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მობასუხეების – სიიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სიიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №12/71045, №12/71046 და №12/71047 გადაწყვეტილებებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 თებერვლის №04/1098 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არამართლზომიერ სარგებლობისათვის დაკისრებული თანხის გადახდისაგან მოსარჩელის გათავისუფლებისა და სიიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ს.კ. ... მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის სასარგებლოდ სერვიტუტის რეგისტაციის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 20 მარტის განჩინებით შპს „...ას“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს აფგანილმდებარების მიხედვით. იმ პირობებში, როდესაც სახეზეა რამდენიმე მოპასუხე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარების მიხედვით. ამასთანავე, განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე. კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანმოცავს როგორც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერებლო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №12/71045, №12/71046 და №12/71047 გადაწყვეტილებების, ისე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 თებერვლის №04/1098 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, თუმცა სამინისტროს 2019 წლის 14 თებერვლის №04/1098 გადაწყვეტილება მიღებულია შპს „...ის“ მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერებლო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ფოთი, აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი, მესტია, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხობი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური). დებულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების და ამ ბრძანების საფუძველზე. ხსენებული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრი, სააგენტო-საგანმოცავს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას. ამასთან, დებულების მე-2 მუხლის თანახმად, ცენტრი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადმი-

ნისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადაც სამართალურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს – სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის (ქ. ფოთი, დემეტრე თავდადებულის ქ. №4) მიხედვით – ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ (სუსგ 16.04.2015წ. №721-707(გ-14)).

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 01 აპრილის განჩინებით შპს „...ის“ სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ფოთის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს განხილვის საგანი, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული აგრეთვე ეხება სარჩელებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სესხებული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...ის“ სარჩელი აღძრულია სისპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ. ამასთან, მხარე ითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი სისპ სახელმწიფო ქონე-

ბის ეროვნული სააგენტოს სამეცნიელო-გურია-ზემო სვანეთის მომ-სახურების ცენტრის უფროსის 2018 წლის 28 დეკემბრის №12/71045, №12/71046 და №12/71047 გადაწყვეტილებები და მოსარ-ჩელე განთავისუფლდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მი-ნის ნაკვეთის არამართლზომიერი სარგებლობისათვის დაკისრე-ბული თანხის გადახდისაგან. ამასთან, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-ტროს 2019 წლის 14 თებერვლის №04/1098 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალოს, მო-სარჩელის სასარგებლოდ, დაარეგისტრიროს სერვიტუტის უფლე-ბა მიწის ნაკვეთზე, საქადასტრო კოდით: №44.01.29.29.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ნივთი, რომლის სამარ-თლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს ქალაქ სე-ნაკში. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელა-ციონ სასამართლოების შექმნის, მათი „სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართვე-ლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით დადგინდა რაიონული (საქალაქო) სასა-მართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამარ-თლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებ-სა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რა-ოდენობა. გადაწყვეტილების 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახ-მად, სენაკის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია გა-ნისაზღვრა სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზ-ღვრებით. ამდენად, ფოთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს საქართვე-ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალის-წინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები და სარჩელის განსჯა-დი სასამართლო განისაზღვროს სადაც ქონების ადგილმდებარე-ბის მიხედვით (სუსგ 14.09.2017, №ბს-715-711 (გ-17)).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გა-ეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქა-ლაქო სასამართლოსა და ფოთის რაიონული სასამართლოს განჩი-ნებებს და მიიჩნევს, რომ საქმე უნდა დაუბრუნდეს ფოთის საქა-ლაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფ-ლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის

განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არა-მედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატე-გორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორი-ულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორია-ზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავში-რებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქო-ნება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ად-მინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორი-ულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თა-ობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია-ში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითი-თებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. სამოქა-ლაქ საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედ-ვით.

კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის 2018 წლის 28 დეკემბრის №12/71045, №12/71046 და №12/71047 გადაწყვეტილები და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 14 თებერვლის №04/1098 გადაწყვეტილება. ამასთან, მოსარჩელე ითხოვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის არა-მართლზომიერ სარგებლობისათვის დაკისრებული თანხის გადახ-დისაგან გათავისუფლებასა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოსათვის ს.კ. ... მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის სასარ-გებლოდ სერვიცუტის რეგისტრაციის დავალებას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ქვედა-ნაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. საქარ-თველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 01 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სახელ-მწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების შექმნისა და ტიპური დებულების“ თანახმად შექმნილია სააგენ-ტოს სამეცნიერო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრი,

რომელიც სააგენტოს წარმოადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (ფოთი, აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი, მესტია, სენაკი, ჩხოროცისუ, წალენჯიხა, ხობი, ლანჩხეუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური). ხსენებული დებულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქრისტიანული ერთეული სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადი აქტის გამომცემი ორგანიზაციის არის სსიპ სახელმწიფო ქრისტიანული სააგენტოს სამეცნიელო-გურია-ზემო სკანერის მომსახურების ცენტრი, რომელიც ქ. ფოთიში მდებარეობს. „სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს 11/150-2007 გადაწყვეტილების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის – ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები მოცულია ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი გამოიყენება მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე (სუსგ 14.09.2017, №ბს-715-711 (გ-17)).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასამართლოთა შორის კლასიკური დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქტია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების თაობაზე. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვას არ ექვემდებარება, არამედ, მიაჩნია, რომ საქმე სრულიად სხვა – სენაკის რაიონული სასა-

მართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე, რომლის გადაჭრის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, ფოთის საქალაქო სასამართლო არ აყენებს საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილვის აუცილებლობის საკითხს. ამდენად, ფოთის საქალაქო სასამართლოს შსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე ფოთის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „...ის“ სარჩელი წარმოადგენს ფოთის რაიონული სასამართლოს განსჯად დავას, რადგან ძირითადი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ქ. ფოთში მდებარეობს. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სადაც მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, დავა სენაკის რაიონული სასამართლოს განსჯადია, თუმცა საქმე განსახილველად არ გადაგზავნილა ფოთის საქალაქო სასამართლოში, რაც გამორიცხავს განსჯადობის თაობაზე დავის არსებობას. კონკრეტულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ფოთის საქალაქო სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე არ არსებობს (სუსგ. №ბს-424(გ-19), 16.01.2020წ; №ბს-527-527(გ-18), 17.07.2018წ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა ემსახურება საქმის მხოლოდ იურის-დიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობების ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტის დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამართლებრივი კვალიფიკირების გაზიარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის შესახებ დავის არარსებობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ის“ სარჩელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, დაუბრუნდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ორივე მოდავე სასამართლოების დასაპუთებული  
შესებულების არარსებობის გამო საქმის უკან  
დაპრუნება**

**განებიერა  
საქართველოს სახელით**

№ბს-584(გ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
გ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

გ. მ-მა 2019 წლის 08 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამი-

ნისტროს მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის 2018 წლის 06 ნოემბრის №... წერილის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 26 თებერვლის №1-1/96 ბრძანების ბათილად ცნობისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის, მიწის ნაკვეთზე (ს.კ. ...) რეგისტრირებულ უფლებაში, გ. მ-ის მიერ წარდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ცვლილების განხორციელების თაობაზე, ახალი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2019 წლის 11 აპრილის განჩინებით გ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. იმ პირობებში, როდესაც სახეზეა რამდენიმე მოპასუხე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთანავე, განსჯადობის ხესნებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე. კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანი შეიცავს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის მიერ 2018 წლის 06 ნოემბერს მიღებული №... წერილის, კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 01.05.2013წ. №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დასაბუთებულობის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (თელავი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღმი, ყვარელი). დებულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, ხესნებული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრი, სააგენტოსაგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას. ამას-

თან, დებულების მე-2 მუხლის თანახმად, ცენტრი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადაც სამართლურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს – სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის (ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ის ქ. №6) მიხედვით – თელავის რაიონული სასამართლოს მიერ. კოლეგიის მითითებით, სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთან ერთად, მოპასუხეს აგრეთვე წარმოადგენს სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრი.

თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 22 აპრილის განჩინებით გ. მ-ის სარჩევლი ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისა და განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადმოეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თელავის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-16, მე-18, მე-20 მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის „ძ“ და „ნ“ ქვეპუნქტების თანახმად, სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან/სარგებლობაში გადაცემსათან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგს, აგრეთვე, სააგენტოს მონიტორინგს დაქვემდებარებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში სახელმწიფო ქონების იპოთეკით, გირავნობით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებით დატვირთვის თაობაზე თანხმობის გაცემას. ამავე დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 01 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული „სისიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის შექმნისა და ტიპური დებულების“ თანახმად, შექმნილია სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრი, რომელიც

სააგენტოს წარმოადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (თელავი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნალი, ყვარელი).

თელავის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს მხარეებს შორის 2002 წელს დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან, რომლის თანახმად, მოიჯარეს მიეცა აღნაგობის უფლება იჯარის საგანზე – მიწის ნაკვეთზე, რომლის მესაკუთრესაც წარმოადგენს სახელმწიფო. შესაბამისად, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანაზე თანხმობას გასცემს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. სასამართლოს მოსამართებით, მოსარჩელის კანონიერ ინტერესს და მიზანს წარმოადგენს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნაგობის უფლებიდან გამომდინარე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების შეტანა იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგინმინდაში. აღნიშნულისათვის საჭიროა მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებაზე. შესაბამისად, სარჩელი უკავშირდება და გამომდინარეობს მოსარჩელესა და მეიჯარეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან და მიმართულია მოსარჩელის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელების კენ, მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგინმინდაში. ამდენად, ხელშეკრულების შესრულებისა და უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა ერთი და იგივეა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლობის შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 38-ე მუხლის თანახმად, სიღნალის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა სიღნალის, საგარეჯოს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. სასამართლოს მოსამართებით, კონკრეტული სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო უნდა განისაზღვროს არა სააგენტოს მომსახურების ცენტრის, არამედ უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, რათა არ მოხდეს სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს და სააგენტოს მომსახურების ცენტრის მიმართ არსებული სარჩელების თავმოყრა მხოლოდ ერთ სასამართლოში. კოლეგიის მითითებით, სადაც ტერიტორია მდებარეობს საგარეჯოს რაიონში, სოფელ გიორგინმინდაში, რაც სიღნალის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტო-

რიას განეკუთვნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გა-  
ცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოსა და თელავის რაიონული სასამართლოს გან-  
ჩინებებს და მიიჩნევს, რომ საქმე უნდა დაუბრუნდეს თელავის  
რაიონულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე  
მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფ-  
ლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის  
შესახებ დაგა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის  
განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არა-  
მედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატე-  
გორის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად  
არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორი-  
ულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორია-  
ზე უძრავ ქონებასთან ან სამართლურთიერთობასთან დაკავში-  
რებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო,  
რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქო-  
ნება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ად-  
მინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორი-  
ულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თა-  
ობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია-  
ში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითი-  
თებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან  
უნდა დადგინდეს სარჩელის ნარდგენის მომენტისთვის. სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი  
ნარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედ-  
ვით.

კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებულია სსიპ სახელმწიფო  
ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის  
2018 წლის 06 ნოემბრის №... ნერილი და საქართველოს ეკონომიკი-  
სა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2019 წლის 26 თებერ-  
ვლის №1-1/96 ბრძანება. ამასთან, მოსარჩელე ითხოვს საგარეჯოს  
რაიონის სოფელ გორგიშინდაში არსებულ მიწის ნაკვეთზე რე-  
გისატრირებულ უფლებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე  
ახალი აქტის გამოცემის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-  
აგენტოსათვის დავალებას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 01 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების თანახმად, შექმნილია სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრი, რომელიც სააგენტოს წარმოადგენს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (თელავი, ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისნებარო, ლაგოდები, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი). ხსენებული დებულების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი თავისი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადი აქტის გამომცემი ორგანო არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების (ცენტრი, რომელიც ქ. თელავში მდებარეობს. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების 22-ე მუხლის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის – თელავის, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრები მოცულია თელავის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სასამართლოთა შორის კლასიკური დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფ-

ლებამოსილების თაობაზე. თელავის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვას არ ექვემდებარება, არა-მედ, მიაჩნია, რომ საქმე სრულიად სხვა – სიღნაღის რაიონული სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე, რომლის გადაჭრის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, თელავის რაიონული სასამართლოს არ აყენებს საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილვის აუცილებლობის საკითხს. ამდენად, თელავის რაიონული სასამართლოს მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმე თელავის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. მ-ის სარჩელი წარმოადგენს თელავის რაიონული სასამართლოს განსჯად დავას, რადგან ძირითადი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო თელავში მდებარეობს. თელავის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სადაც მინის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, დავა სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯადია, თუმცა საქმე განსახილებული არ გადაგზავნილა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, რაც გამორიცხავს განსჯადობის თაობაზე დავის არსებობას. კონკრეტულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თელავის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე არ არსებობს (სუსგ. №ბს-424(გ-19), 16.01.2020წ; №ბს-527-527(გ-18), 17.07.2018წ).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და

წყვეტს დაგას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სა-მართლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც გან-სახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის შესახებ დაგის არარსე-ბობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს თელავის რაიონულ სასამარ-თლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. მ-ის სარჩელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსპ სახელმწიფო ქონების ეროვ-ნული სააგენტოს მიმართ, დაუბრუნდეს თელავის რაიონულ სასა-მართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

## 6. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განახლების განსჯადობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-541(ს-20)

20 ივნისი 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე

#### აღნერილობითი ნაწილი:

„ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ“ საჩერის რა-  
იონული სასამართლოს 05.03.2019წ. დადგენილებით პ. ტ-ე ცნო-  
ბილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-  
თა კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებუ-  
ლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და ად-  
მინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა – 500 ლარი.  
დადგენილების ასლი გადაეცათ მხარეებს. აღნიშნულ დადგენილე-  
ბაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივარი წარადგინა  
გ. ბ-ებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.2020წ. დადგენილე-  
ბით გ. ბ-ის საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. სასამარ-  
თლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით, ჭიათურის მუ-  
ნიციპალიტეტის სოფ. ...ში, სოფ. ...ს ადმინისტრაციულ ერთეულში  
ჭიათურის მუნიციპალიტეტის ...ის ...მა – პ. ტ-ემ ...ის ...ი შენობის  
მიმდებარედ შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე მოქრა 6 ძირი ხე,  
რის შედეგადაც გარემოსათვის მიყენებულმა ზიანი 744  
ლარი. აღნიშნული ფაქტი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის  
დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოსათვის  
ცონბილი გახდა გ. ბ-ის შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინე-  
ბას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოჰყვა რეაგირება, პ.  
ტ-ის მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა კოდექსის 151.1 მუხლით გათვალისწინე-  
ბული ქმედების ჩადენისათვის. საჩერის რაიონული სასამართლოს  
05.03.2019წ. დადგენილებით პ. ტ-ე ცნობილ იქნა სამართალდამ-  
რღვევად, ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა  
– 500 ლარი, მასვე დაეკისრა გარემოსათვის მიყენებული ზიანის –

744 ლარის ანაზღაურება. პ. ტ-ემ საჩერის რაიონულ სასამართლოში წარადგინა როგორც ჯარიმის, ასევე გარემოსათვის მიყენებული ზიანის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არც პ. ტ-ეს და არც ადმინისტრაციულ ორგანოს რაიონული სასამართლოს დადგენილება არ გაუსაჩივრებიათ, ხოლო გ. ბ-ე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე არ წარმოადგენს მხარეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა. ამდენად, გ. ბ-ე არ არის საჩერის რაიონული სასამართლოს 05.03.2019წ. დადგენილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილი პირი, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გ. ბ-ის საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლად იქნა მიჩნეული.

07.05.2020წ. გ. ბ-ემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.2020წ. დადგენილების ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. განცხადებელმა აღნიშნა, რომ არსებობს სსკ-ის 423-ე მუხლით გათვალისწინებული წარმოების განახლების საფუძვლები, რადგან მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. აღნიშნული განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.05.2020წ. მიმართვით გადაგზავნილ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2020წ. №915-2/3ბ მომართვით გ. ბ-ის განცხადება, როგორც საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოგზავნილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. გადმოგზავნის საფუძვლად მიეთითა: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გ. ბ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილებად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის განცხადების შინაარ-

სიდან და მასში ასახული მოთხოვნიდან ერთმნიშვნელოვნად იქ-ვეთება გ. ბ-ის მიზანი გაუქმდეს სააპელაციო პალატის 02.04.2020წ. დადგენილება კონკრეტული საფუძვლით: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გ. ბ-ის 07.05.2020წ. განცხადების საჩივრად მიჩნევის შესახებ. გაცხადების მიხედვით მისი აღრესატია ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, ხოლო მოთხოვნაა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 02.04.2020წ. დადგენილების გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და საქმის წარმოების განახლება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად გ. ბ-ეს მითითებული აქვს სსკ-ის 423-ე მუხლი, რომელიც სწორედ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების სასამართლოში წარდგენის საფუძვლებს ჩამოთვლის. ამდენად, განცხადება ეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო პალატის დადგენილების გაუქმების, საქმის წარმოების განახლების საკითხს და არ შეიცავს ზემდგომ სასამართლოში წარსადგენი საჩივრის რაიმე მახასიათებლებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების პათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. ალნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ბ-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვმდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რადგან განცხადება სწორედ სააპელაციო პალატის დადგენილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მიზნით არის წარდგენილი. გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით რაიმე განჩინება/გადაწყვეტილება არ მიუღია. ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის ფარგლებში იხილავს მხოლოდ განცხადების ქვემდებარობის და არა მისი დასაშვებობის ან საფუძვლიანობის საკითხს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 13.07.2020წ. №915-2/3ბ მომართვაში გ. ბ-ის განცხადების საჩივრად მიჩნევისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოგზავნის საფუძვლად მითითებულია: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრა-

ციულ სამართალდარღვევათა საქმეების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომელიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. სსკ-ის 398-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საქასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს. ამდენად, სააპელაციო პალატის მიმართვა შეიცავს მხოლოდ ზოგად ნორმებზე მითიქებას და არ ასაბუთებს გ. ბ-ის განცხადების საჩივრად მიჩნევასა და საკასაციო სასამართლოში განსახილველად გადმოგზავნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. ბ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ბ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის ნარმოების განაცლების განსჯადობა

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბ-647-6(ა-20)

24 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ქ. ცინცაძე

### აღნერილობითი ნაწილი:

ზ. ჯ-ემ 18.12.2017 წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩელემ  
სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ მოპასუხედ დაასახე-  
ლა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებუ-  
რად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომი-  
სია და მოთხოვა: ზ. ჯ-ისათვის საკუთრების უფლების აღიარებაზე  
უარის თქმის ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არ-  
სებული თვითნებურად დაკავებულ მინაზე საკუთრების უფლების  
აღიარების კომისიის 27.07.2017წ. №620 საოქმო გადაწყვეტილე-  
ბის (დღის წესრიგის 33-ე საკითხი), „მინის ნაკვეთზე ზ. ჯ-ის სა-  
კუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ“ ქ. თბილი-  
სის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავე-  
ბულ მინაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 04.09.2017  
წ. №1324 განკარგულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მუნი-  
ციპალიტეტის მერთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მინა-  
ზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის ქ. თბილისში,  
...ის №...-ს მიმდებარედ არსებულ 24 კვ.მ. მინის ნაკვეთზე ზ. ჯ-ის  
საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ახალი ადმინისტრაცი-  
ულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 04.07.2018წ. გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ის სარჩელი არ  
დაცმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 30.10.2018წ. განჩინებით ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩი-  
ვარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გა-  
დაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 04.06.2019წ. განჩინებით ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის 30.10.2018წ. განჩინება.

საკასაციო სასამართლოს 18.06.2020. განცხადებით მომართა ზ. ჯ-ემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზ. ჯ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოში, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რადგან ზ. ჯ-ის სასარჩელი მოთხოვნაზე არსებითად იმსჯელა და სარჩელი არ დააკმაყოფილა სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლომ. მართალია, პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა და ზ. ჯ-ის საჩივრებზე იმსჯელეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც, თუმცა მათ არ შეუცვლიათ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ზ. ჯ-ეს უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ჯ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 298 20 75  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)